დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სოფიო ტარასაშვილი

წევრები:

ნინო ჩიტაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ნატა ბიჭიკაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ბექა კვაჭაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ჭავჭანიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო თავაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246998646

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/439?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gvara@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N MES 8 25 0000647829 ბრძანება - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისშექმნისა და სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	20 და 21 აგვისტო, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა; ერთი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა; ერთი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა; ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისშექმნისა და სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის №647829, 10/06/2025 წ. ბრძანებით გასაზღვრულ ვადაში - 2025 წლის 20 და 21 აგვისტოს. ვიზიტამდე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაცია; ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების შეხვედრა ონლაინ რეჟიმში, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. ასევე, ექსპერტთა მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოთხოვილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, რაც სკოლამ წარმოადგინა შესაბამის ვადაში. სკოლის მიერ წარმოდგენილმა მასალამ ექსპერტებს მისცა შესაძლებლობა შეესწავლათ ინფორმაცია დაწესებულების შესახებ.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით - teams პლატფორმით.

ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თანამშრომლობის მაღალი კულტურა. შეფასება განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის ინფრასტრუქტურა, სკოლის ინკლუზიური გარემო, დოკუმენტაცია, პირადი საქმეები. ვიზიტის დროს განხორციელდა დირექციის წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიურება. საგნობრივი ექსპერტები შეთანხემებული განრიგის შესაბამისად teams პლატფორმით გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრების წარმომადგენლებს. შეხვედრების პროცესში საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაზიარებულ იქნა შთაბეჭდილებები, მიგნებები, და შეთანხმდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საკითხიც.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ დროულად წარმოადგინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია. საგნობრივმა ექსპერტებმა ჯგუფის თავმჯდომარესა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთან შეთანხმებულ ვადაში წარმოადგინეს შეფასების ფორმები.

გაზიარების თვალსაზრისით, არჩეულ იქნა outlook onedrive-ის საქაღალდე, რომელზეც წვდომა ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს. პროცესში გათვალისწინებულ იქნა ჯგუფის წევრების გამოცდილება და უკუკავშირი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☐ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 320	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამა)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*სკოლაში ვიზიტის დროს პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუერების საფუძველზე, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არ დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფიის შედგენაში სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული. მტკიცებულებები, რომლებიც წარმოაჩენდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, არ იყო წარმოდგენილი.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 22/10/2025წ.***
ინდიკატორი N1.1.1.4.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესახებ. შესაბამისად, ვერ იქნა დადგენილი, რომ სკოლის მოქმედი ფილოსოფია გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 22/10/2025წ.***
ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას) ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა არ ასახავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს, მიზნებს. სტრუქტურულად, სტრატეგიული განვითრების გეგმა არ იძლევა სკოლის მისიასთან, ხედვასთან, სკოლის მიზნებთან დაკავშირების შესაძლებლობას. არ აღწერს სკოლის განვითარებისათვის საჭირო თანმიმდევრულ, ციკლურ პროცესს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 10/12/2025წ.***
ინდიკატორი N1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*სამოქმედო გეგმაში არ არის მოცემული შესრულების მონიტორინგის მექნიზმები/ინდიკატორები. ვინაიდან სკოლის სტრატეგიული გეგმა არ ასახავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს, მიზნებს, ვერ დგინდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 20/12/2025წ.***
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი ამოცანების შესრულების ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 20/12/2025წ.***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.1.2.2.	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა*	*სკოლის მიერ არ არის შემუშავებული დოკუმენტი (არც არსებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი) პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 28/11/2025წ.***
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*უსტატუსო მასწავლებლებლები დასაქმებული არიან დაწყებით კლასებში, ასევე, დაწყებითის მასწავლებლები სამართლებრივი ნორმების დარღვევით ატარებენ ისტ -ის, ესთეტიკური აღზრდის საგნების გაკვეთილებს, არცერთ მათგანს არ აქვს შესაბამისი სტატუსი.* *ასევე, სკოლაში დასაქმებულია სკოლის დირექტორის ოჯახის წევრი (შვილი) სამეურვეო საბჭოს შესაბამისი შეთანხმების გარეშე.* *სკოლის ექიმს არ აქვს 41/ნ ბრძანების თანახმად დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 22/09/2026წ.***

ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	*კიბის უჯრედების დათვალიერება სათვალთვალო კამერებით არ არის შესაძლებელი. სკოლაში სათვალთვალო კამერები არ არისდამონტაჟებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას სკოლის შენობის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, კიბის უჯრედის დათვალიერება.* *სკოლამ ვერ წარმოადგინა: მიწერილობა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე ვერ წარმოადგინა - უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 26/12/2025წ.***
ინდიკატორი N3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლის დირექტორის კაბინეტში, არის მონიტორი, რომელზეც გადაიცემა სკოლის ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული კადრები და მასზე წვდომა ნაცვლად სკოლის მიერ განსაზღვრულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისა, აქვთ სკოლის დირექტორს - შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ტექნიკური ან ორგანიზაციული საშუალებებით მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების (მათ შორის, ვიზუალური იდენტიფიკაციის) დაცვა.* *სპორტულ დარბაზში დამონტაჟებულია ვიდეო თვალი, რომელიც ჩართულ მდგომარეობაშია.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 26/12/2025წ.***

ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლის შენობის მეორე სართულზე გადაადგილებისთვის არ არის ლიფტი და არც პანდუსია დამონტაჟებული.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 22/09/2027წ.***
ინდიკატორი N3.6.2.1.	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*ბრძანებები არ არის სისტემატიზებული საკადრო და საერთო ბრძანებებად. არ არის წლების მიხედვით აკინძული, სკოლა არ აწარმოებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალებს და არც შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 25/12/2026წ.***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N4.1.2.1.	*სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები*	*სკოლას არ აქვს შემუშავებული სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი", განისაზღვრება მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მობილობის, კლასის და საფეხურის დაძლევისათვის საჭირო პროცედურები.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზ გამოსწორების პერიოდი - 30/09/2025წ.***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.1.1.4.	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა მშობელთა მიერ კურიკულუმის შესახებ გარკვეული უკუკავშირის/რჩევის/რეკომენდაციის/მოსაზრების მიღებისა და გაზიარების პროცესს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 02/09/2026წ.***
ინდიკატორი N2.2.2.4.	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*უსტატუსო მასწავლებლებლები დასაქმებული არიან დაწყებით კლასებში, ასევე, დაწყებითის მასწავლებლები სამართლებრივი ნორმების დარღვევით ატარებენ ისტ -ის, ესთეტიკური აღზრდის საგნების გაკვეთილებს, არცერთ მათგანს არ აქვს შესაბამისი სტატუსი.*

		ასევე, სკოლაში დასაქმებულია სკოლის დირექტორის ოჯახის წევრი (შვილი) სამეურვეო საბჭოს შესაბამისი შეთანხმების გარეშე. ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 22/09/2026წ.***
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცეში არ არის სველი წერტილი, ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდა (ცდებისთვის) და ასევე სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ასევე,ჯანმრთელობისთვის სახიფათო რექატივებს, დასახელების გარდა ეტიკეტზე არ აქვს შესაბამისი წარწერა, მაგ: „შხამი“ და, ა.შ. ასევე, კარადა, სადაც აღნიშნული რეაქტივები ინახება, არ იკეტება საკეტით.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 05/09/2026წ.***
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*უცხო ენები: სკოლამ წარმოადგინა დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი. თუმცა დოკუმენტი ეხებოდა მხოლოდ ინგლისურ ენაში გამოსაყენებელ რესურსებს. ამასთან, არ მოიცავდა კონკრეტულ კრიტერიუმებს და იყო ზოგადი ხასიათის. დოკუმენტის შეუსაბამობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ უცხოური ენების კურიკულუმებში გვხვდება დამხმარე რესურსი (ინგლისური ენა, VI კლასი), რომელიც არ შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 02/09/2026წ.***
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.1.1.4.	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა მშობელთა მიერ კურიკულუმის შესახებ გარკვეული უკუკავშირის/რჩევის/რეკომენდაციის/მოსაზრების მიღებისა და გაზიარების პროცესს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 02/09/2026წ.***

ინდიკატორი N N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცეში არ არის სველი წერტილი, ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდა (ცდებისთვის) და ასევე სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ასევე,ჯანმრთელობისთვის სახიფათო რეაქტივებს, დასახელების გარდა ეტიკეტზე არ აქვს შესაბამისი წარწერა, მაგ: „შხამი“ და, ა.შ. ასევე, კარადა, სადაც აღნიშნული რეაქტივები ინახება, არ იკეტება საკეტით.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 05/09/2026წ.***
ინდიკატორი N N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*უცხო ენები: სკოლამ წარმოადგინა დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი. თუმცა დოკუმენტი ეხებოდა მხოლოდ ინგლისურ ენაში გამოსაყენებელ რესურსებს. ამასთან, არ მოიცავდა კონკრეტულ კრიტერიუმებს და იყო ზოგადი ხასიათის. დოკუმენტის შეუსაბამობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ უცხოური ენების კურიკულუმებში გვხვდება დამხმარე რესურსი (ინგლისური ენა, VI კლასი), რომელიც არ შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 02/09/2026წ.***
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.1.1.4.	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა მშობელთა მიერ კურიკულუმის შესახებ გარკვეული უკუკავშირის/რჩევის/რეკომენდაციის/მოსაზრების მიღებისა და გაზიარების პროცესს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 02/09/2026წ.***
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა*	*სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცეში არ არის სველი წერტილი, ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდა (ცდებისთვის) და ასევე სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ასევე,*

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*ჯანმრთელობისთვის სახიფათო რექატივებს, დასახელების გარდა ეტიკეტზე არ აქვს შესაბამისი წარწერა, მაგ: „შხამი“ და, ა.შ. ასევე, კარადა, სადაც აღნიშნული რეაქტივები ინახება, არ იკეტება საკეტით.* ***სკოლას შესაბამისობი გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 05/09/2026წ***
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*უცხო ენები: სკოლამ წარმოადგინა დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი. თუმცა დოკუმენტი ეხებოდა მხოლოდ ინგლისურ ენაში გამოსაყენებელ რესურსებს. ამასთან, არ მოიცავდა კონკრეტულ კრიტერიუმებს და იყო ზოგადი ხასიათის. დოკუმენტის შეუსაბამობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ უცხოური ენების კურიკულუმებში გვხვდება დამხმარე რესურსი (ინგლისური ენა, VI კლასი), რომელიც არ შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს.* ***სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი - 02/09/2026წ.***

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგად განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლას მიეცა რჩევა - რევიზირებულ იქნას სკოლის ფილოსოფია და მისიაში დაწესებულების ძლიერი მხარეები იყოს გამოკვეთილი. ასევე, სკოლის ხედვაც მკაფიოდ უნდა ასახავდეს სკოლის განვითარების პერსპექტივებს და არ იყოს ზოგადი ხასიათის.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს*	*სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ გაიწეროს პროცესების განხორციელება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე, პრინციპის დაცვით.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების*	*მიზანშეწონილია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში.*

	დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.1.1.	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი*	*სასურველია სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი - სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც ასახული იქნება ის რეგულაციები, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების ადაპტაციას.*
ინდიკატორი N4.2.1.3.	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს რემედიაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ინტერვენციის ფორმებსა და ხანგრძლივობას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	*რჩევა*

	(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*დაწყებითი საფეხურის მე-3 კლასის მუსიკის კურიკულუმში ძირითად რესურსად მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო ;* *მე-5 და მე-6 კლასის მუსიკის კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები და მაგალითები შედარებისთვის.* *სასურველია გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს მარტივი ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლებას.* *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დასაზუსტებელია თემები სტანდარტთან მიმართებაში, ზოგან არეულია თემატური ბლოკი/თემა ერთმანეთში.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	1. *სკოლამ წარმოადგინა დიფერენცირებული სწავლების ამსახველი დოკუმენტი ცალკე ნიმუშად, თუმცა უმჯობესია, კურიკულუმებში რესურსების სახით მოხდეს დიფერენცირებული სწავლების ინტეგრირება, რათა ეს მიდგომა ბუნებრივად აისახოს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში;* 2. *ინტერდისციპლინურობასა და ცოდნის ინტეგრაციისათვის უმჯობესია კურიკულუმში შეიტანონ თემები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე საგანს;* 3. *სასურველია დაიგეგმოს ციფრული რესურსების, ონლაინ პლატფორმებისა და ინტერნეტ-პროექტების მეტი გამოყენება.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე*	1. *სასურველა რესურსების შერჩევისას მეტი ყურადღება დაეთმოს მრავალფეროვნებას და მოხდეს მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინება.* 2. *სასურველია დაიგეგმოს ციფრული რესურსების, ონლაინ პლატფორმებისა და ინტერნეტ-პროექტების მეტი გამოყენება.*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*3. ,,სასწავლო რესურსის" ჩარჩოში ასახონ ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თითოეული თემის დამუშავებისას.* *4. დაწყებითის კურიკულუმში, გარდა სახელმძღვანელოსა, შეიტანონ ის დამატებითი რესურსები რომლებსაც იყენებენ.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*სასურველია მეტი დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. კერძოდ, სხვადასხვა ტიპის საკლასო და საშიონაო დავალებების მიცემა არა სპეციუალური საჭიროების მოსწავლეებთანაც.* *სასურველია, ახალი სასწავლო წლისთვის მათემატიკის კათედრამ თემების და საკითხების მიხედვით შეიმუშაოს დავალების ბარათები/შეფასების რუბრიკები დიფერენცირებული სწავლებისთვის.* *ესთეტიკური აღზრდის საგნების შემაჯამებელ ,სადიაგნოსტიკო ან კომპლექსური დავალების პირობის შექმნისას,სასურველია,მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები,რათა სასწავლო პროცესი გახდეს ინკლუზიური.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ჰოლისტურ მიდგომას. სასურველია გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. მაგალითად: მოსწავლეთა თვითშეფასება, პორტფლიო და სხვა. და გაითვალისწინონ შეფასების სხვადასხვა პრინციპები. მაგალითად მრავალფეროვნება - სხვადასხვა ტიპის დავალება სხვადასხვა ტიპის უნარის შესაფასებლად.* *მუსიკისა და ხელოვნების საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მომზადდეს შესაბამისი საფეხურების შერჩეული თემების და საკითხების მიმართებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.* *მე-3-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში მითითებულია ცდის ჩატარება-თუმცა, არ ჩანს, რომელ ცდას ჩაატარებენ მოსწავლეები;*

		კომიქსის შექმნა-არ ჩანს, როგორია კომიქსის შინაარსობრივი მხარე- სასურველია მეტად იყოს დაკონკრეტებული.
ინდიკატორი N2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმების ჩარჩოებში ,სასურველია, დაემატოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსი. მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა. 2. რჩევა დაწყებით და საშუალო საფეხურზე : სასურველია სკოლამ უცხო ენების კათედრაზე გამოიყენოს მეტი დამხმარე სასწავლო რესურსი და ეს ასახოს კურიკულუმში.*
ინდიკატორი N2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია, შემუშავდეს სასწავლო რესურსების შერჩევისა და დამტკიცების დოკუმენტი და განსაზღვროს რესურსის გამოყენებამდე მისი გადამოწმების პროცედურა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაობზე- საბაზო საფეხურზე. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ჭურჭელი და რეაქტივები, რაც ზოგიერთი უსაფრთხო ცდის საკლასო ოთახში ჩატარების საშუალებას იძლევა. პედაგოგები, სწავლების პროცესის გასამრავალფეროვნებლად ელ.რესურსებს იყენებენ .*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სკოლამ წარმოადგინა დიფერენცირებული სწავლების ამსახველი დოკუმენტი ცალკე ნიმუშად, თუმცა უმჯობესია, კურიკულუმებში რესურსების სახით მოხდეს დიფერენცირებული სწავლების ინტეგრირება, რათა ეს მიდგომა ბუნებრივად აისახოს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში*

		ინტერდისციპლინურობასა და ცოდნის ინტეგრაციისათვის უმჯობესია კურიკულუმში შეიტანონ თემები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე საგანს, სასურველია დაიგეგმოს ციფრული რესურსების, ონლაინ პლატფორმებისა და ინტერნეტ-პროექტების მეტი გამოყენება.
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*1. სასურველა რესურსების შერჩევისას მეტი ყურადღება დაეთმოს მრავალფეროვნებას და მოხდეს მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინება.* *2. სასურველია დაიგეგმოს ციფრული რესურსების, ონლაინ პლატფორმებისა და ინტერნეტ-პროექტების მეტი გამოყენება.* *3. ,სასწავლო რესურსის" ჩარჩოში ასახონ ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თითოეული თემის დამუშავებისას.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*სასურველია მეტი დიფერენვირებული მიდგომა მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. კერძოდ, სხვადასხვა ტიპის საკლასო და საშიონაო დავალებების მიცემა არა სპეციუალური საჭიროების მოსწავლეებთანაც.* *სასურველია, ახალი სასწავლო წლისთვის მათემატიკის კათედრამ თემების და საკითხების მიხედვით შეიმუშაოს დავალების ბარათები/შეფასების რუბრიკები დიფერენცირებული სწავლებისთვის.* *ესთეტიკური აღზრდის საგნების შემაჯამებელ ,სადიაგნოსტიკო ან კომპლექსური დავალების პირობის შექმნისას,სასურველია,მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები,რათა სასწავლო პროცესი გახდეს ინკლუზიური.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ჰოლისტურ მიდგომას. სასურველია გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. მაგალითად: მოსწავლეთა თვითშეფასება, პორტფლიო და სხვა. და გაითვალისწინონ შეფასების სხვადასხვა პრინციპები. მაგალითად მრავალფეროვნება - სხვადასხვა ტიპის დავალება სხვადასხვა ტიპის უნარის შესაფასებლად.მუსიკისა და ხელოვნების საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მომზადდეს შესაბამისი საფეხურების შერჩეული*

		თემების და საკითხების მიმართებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმების ჩარჩოებში ,სასურველია, დაემატოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსი. მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა.*
ინდიკატორი N2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია, შემუშავდეს სასწავლო რესურსების შერჩევისა და დამტკიცების დოკუმენტი და განსაზღვროს რესურსის გამოყენებამდე მისი გადამოწმების პროცედურა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაობზე- საბაზო საფეხურზე.* *ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ჭურჭელი და რეაქტივები, რაც ზოგიერთი უსაფრთხო ცდის საკლასო ოთახშ ჩატარების საშუალებას იძლევა. პედაგოგები, სწავლების პროცესის გასამრავალფეროვნებლად ელ.რესურსებს იყენებენ .*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სკოლამ წარმოადგინა დიფერენცირებული სწავლების ამსახველი დოკუმენტი ცალკე ნიმუშად, თუმცა უმჯობესია, კურიკულუმებში რესურსების სახით მოხდეს დიფერენცირებული სწავლების ინტეგრირება, რათა ეს მიდგომა ბუნებრივად აისახოს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში* *ინტერდისციპლინურობასა და ცოდნის ინტეგრაციისათვის უმჯობეს კურიკულუმში შეიტანონ თემები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე საგან*

		სასურველია დაიგეგმოს ციფრული რესურსების, ონლაინ პლატფორმებისა (ინტერნეტ-პროექტების მეტი გამოყენება.
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*1. სასურველა რესურსების შერჩევისას მეტი ყურადღება დაეთმოს მრავალფეროვნებას და მოხდეს მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინება.* *2. სასურველია დაიგეგმოს ციფრული რესურსების, ონლაინ პლატფორმებისა და ინტერნეტ-პროექტების მეტი გამოყენება.* *3. ,,სასწავლო რესურსის" ჩარჩოში ასახონ ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თითოეული თემის დამუშავებისას.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*სასურველია მეტი დიფერენვირებული მიდგომა მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. კერძოდ, სხვადასხვა ტიპის საკლასო და საშიონაო დავალებების მიცემა არა სპეციუალური საჭიროების მოსწავლეებთანაც.* *სასურველია, ახალი სასწავლო წლისთვის მათემატიკის კათედრამ თემების და საკითხების მიხედვით შეიმუშაოს დავალების ბარათები/შეფასების რუბრიკები დიფერენცირებული სწავლებისთვის.* *ესთეტიკური აღზრდის საგნების შემაჯამებელ ,სადიაგნოსტიკო ან კომპლექსური დავალების პირობის შექმნისას,სასურველია,მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები,რათა სასწავლო პროცესი გახდეს ინკლუზიური.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ჰოლისტურ მიდგომას. სასურველია გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. მაგალითად: მოსწავლეთა თვითშეფასება, პორტფლიო და სხვა. და გაითვალისწინონ შეფასების სხვადასხვა პრინციპები. მაგალითად მრავალფეროვნება - სხვადასხვა ტიპის დავალება სხვადასხვა ტიპის უნარის შესაფასებლად.მუსიკისა და ხელოვნების საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მომზადდეს შესაბამისი საფეხურების შერჩეული თემების და საკითხების მიმართებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*

ინდიკატორი N2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმების ჩარჩოებში ,სასურველია, დაემატოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსი. მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა.*
ინდიკატორი N2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია, შემუშავდეს სასწავლო რესურსების შერჩევისა და დამტკიცების დოკუმენტი და განსაზღვროს რესურსის გამოყენებამდე მისი გადამოწმების პროცედურა.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი გვარას საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა მესამე სტანდარტის ზოგიერთ ინდიკატორთან (3.4.1.1. და 3.5.1.4.) მიმართებით;
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი გვარას საჯარო სკოლის დასკვნის პროექტის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა გამოვლენილ ხარვეზებთან (1.1.1.3.; 1.1.1.4.; 1.2.1.2.; 1.2.1.3.; 1.2.1.4.; 3.1.2.2.; 3.1.2.4.; 3.4.1.1.; 3.4.1.6.; 3.4.1.6.; 3.5.1.4.; 3.6.2.1. 4.1.2.1.; 2.1.1.4.; 2.2.2.4.; 2.2.2.3.; 2.2.2.2. – (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით); 2.1.1.4.; 2.2.2.3.; 2.2.2.2. - საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთთან მიმართებით) დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით:

1. ***პირველი სტანდარტის ინდიკატორები** - 1.1.1.3.; 1.1.1.4.; 1.2.1.2.; 1.2.1.3.;1.2.1.4. - (რომლებზეც სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები) შეფასდა, როგორც **„მეტწილად შეესაბამება“.***
2. ***მესამე სტანდარტის ინდიკატორები** - 3.1.2.2.; 3.1.2.4.; 3.4.1.1.; 3.4.1.6.; 3.4.1.6.; 3.6.2.1. - (რომლებზეც სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები) შეფასდა, როგორც **„მეტწილად შეესაბამება“.***
3. ***მესამე სტანდარტის ინდიკატორი** - 3.5.1.4. - (რომელზეც სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადა) შეფასდა, როგორც **„ნაწილობრივ შეესაბამება“.***

4. ***მეოთხე სტანდარტის ინდიკატორი*** *- 4.1.2.1.- (რომელზეც სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადა) შეფასდა, როგორც* ***„მეტწილად შეესაბამება“.***
5. ***მეორე სტანდარტის ინდიკატორები (დაწყებით საფეხურზე)*** *- 2.1.1.4.; 2.2.2.4.; 2.2.2.3.; 2.2.2.2. - (რომლებზეც სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები) შეფასდა, როგორც* ***„მეტწილად შეესაბამება“.***
6. ***მეორე სტანდარტის ინდიკატორები (საბაზო და საშუალო საფეხურზე)*** *- 2.1.1.4.; 2.2.2.3.; 2.2.2.2. - (რომლებზეც სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები) შეფასდა, როგორც* ***„მეტწილად შეესაბამება“.***

აქვე აღვნიშნავთ, რომ „მეტწილი“ შეფასება დადგენილ იქნა იმ ინდიკატორებთან მიმართებით, სადაც სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა, ხოლო „ნაწილობრივი“ შეფასება დადგენილ იქნა იმ ინდიკატორებთან მიმართებით, სადაც სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა არაუმეტეს 12-24 თვისა.

ასევე, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი გვარას საჯარო სკოლა MES 8 25 0001176155, 18/09/2025წ. წერილით ეთანხმება ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს ეტაპობრივად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის მისიაა - მოსწავლეებმა მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს, დაძლიონ მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემები და ჰქონდეთ რთულ სიტუაციაში სწორი ორიენტაციის უნარი.

სკოლის ხედვაა - შექმნან ისეთი სკოლა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ინდივიდუალური და ასაკობრივი შესაძლებლობებით ცოდნის შეძენას, გამოყენებას და საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად წარმოჩენას.

ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ადმინისტრაციასთან ინტერვიურების დროს განიხილეს სკოლის მოქმედი ფილოსოფია და მისცეს სკოლას რჩევა მის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით - **მისია და ხედვა არ გამოხატავს სკოლის იდენტობას. მნიშვნელოვანია რომ რევიზირებულ იქნას სკოლის ფილოსოფია და მისიაში დაწესებულების ძლიერი მხარეები იყოს გამოკვეთილი. ასევე, სკოლის ხედვაც მკაფიოდ უნდა ასახავდეს სკოლის განვითარების პერსპექტივებს და არ იყოს ზოგადი ხასიათის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო - დაწესებულება თემში წარმოადგენს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული მნიშვნელოვან სოციო-კულტურულ სივრცეს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მოქმედ ფილოსოფიასთან დაკავშირებით გაცემულ იქნა გარკვეული რეკომენდაციები, დაწესებულება არსებული მისიით და ხედვით განსაზღვრავს თემში და ასრულებს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების საფუძველზე, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, **არ დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფიის შედგენაში სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული.** დაწესებულების მისია წარმოდგენილი არ იყო 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. დოკუმენტი არ შეიცავდა ჩანაწერს სკოლის ხედვის და ღირებულებების თაობაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილია დირექტორის ბრძანება N20, 23/04/2025წ. ,,სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ". **სხვა რაიმე მტკიცებულებები, რომლებიც წარმოაჩენდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, არ იყო წარმოდგენილი**. როგორც ინტერვიურებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მათ ფილოსოფიის შედგენის, განხილვის შესახებ ჩაატარეს სამუშაო შეხვედრები, მშობელთა კრებებზე განიხილეს აღნიშნული საკითხი, თუმცა, რაიმე უკუკავშირი დაინტერესებული მხარეების მხრიდან არ იყო მიღებული. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 22/10/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

როგორც 1.1.1.3 ინდიკატორის აღწერილობისას აღინიშნა, სკოლის ფილოსოფიის შედგენის/რევიზირების პროცესში სასკოლო **საზოგადოების მონაწილეობა ვერ დგინდება.** სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024–2025 სასწავლო წლის გეგმა არ შეიცავდა ჩანაწერს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ. **დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება საზოგადოების ჩართულობის შესახებ. შესაბამისად, ვერ იქნა დადგენილი, რომ სკოლის მოქმედი ფილოსოფია გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ.** ინტერვიურებისას სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავს გაუზიაროს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტი ყველა დაინტერესებულ პირს როგორც სამუშაო შეხვედრებზე, ისე, მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში და მათგან მიღებული შესაბამისი უკუკავშირის საფუძველზე უზრუნველყოფს მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 22/10/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტეის სოფელ გვარას საჯარო სკოლას აქვს ვებ.გვერდი პორტალზე https://skolebi.emis.ge/, სადაც ატვირთული სკოლის მოქმედი ფილოსოფია. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა - 2024-2025ს.წ;
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება N20, 23/04/2025წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის დირექტორის N20, 23/04/2025წ. ბრძანებით დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2024-2031). **თუმცა, გეგმა არ ასახავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს, მიზნებს.** სტრუქტურულად, სტრატეგიული განვითრების გეგმა არ იძლევა სკოლის მისიასთან, ხედვასთან, სკოლის მიზნებთან დაკავშირების შესაძლებლობას. არ აღწერს სკოლის განვითარებისათვის საჭირო თანმიმდევრულ, ციკლურ პროცესს. გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, შესრულების დრო, პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 10/12/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025). იგი შემუშავებულია დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის N19 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ. მასში გაწერილია ამოცანები, როგორიცაა:

- სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
- სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;
- სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია;
- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;

- ჯანსაღი სკოლის კონცეფცია;
- სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება.

სამოქმედო გეგმა მოიცავს, ასევე, ამ ამოცანების გადაჭრისთვის დაგეგმილ აქტივობებს, პასუხისმგებელს პირებს, გაწერილია განხორციელების ვადები. თუმცა, **არ არის მოცემული შესრულების მონიტორინგის მექნიზმები/ინდიკატორები.** როგორც 1.2.1.2. ინდიკატორის აღწერილობისას აღინიშნა, სკოლის სტრატეგიული გეგმა **არ ასახავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს, მიზნებს. გამომდინარე აქედან ვერ დგინდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 20/12/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

როგორც 1.2.1.3. ინდიკატორის აღწერილობისას აღინიშნა ვერ დგინდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. ასევე, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების ვადებს. **სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი ამოცანების შესრულების ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 20/12/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - 2024-2031 სასწავლო წლები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025წწ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის დირექტორის N20, 23/04/2025წ. ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები (თავი N12). მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები. პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექცია. მასში ჩართულები არიან: პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, კლასის დამრიგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.3. კერძოდ, საჯაროა თუ არა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.4, ვინაიდან, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და შესაბამისად, მას ვერ ექნება სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - 2024-2031 სასწავლო წლები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025წწ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს კოლეგიალურ სტრუქტურულ ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიურ საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინურ კომიტეტი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც თანაბარი რაოდენობით შედის მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით. სტრუქტურული ერთეულები ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული

,,საჯარო სკოლის წესდებით'' გაწერილი უფლებამოსილების ფარგლებში. დაწესებულებას სტრუქტურა წარმოდგენილი აქვს სქემატური გამოსახულების სახითაც და წარმოაჩენს სტრუქტურული ერთეულების და პირების იერარქიულ დაქვემდებარებას. სკოლაში დასაქმებული პირების ხელშეკრულებები მოიცავს მონაცემებს მათი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის დასაქმებულთა ფუნქციები, უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, შინაგანაწესის მიხედვით. ყველა კოლეგიური/სტრუქტურული რგოლი იკრიბება სამუშაო შეხვედრებსა და სხდომებზე და არსებით გადაწყვეტილებებს აფიქსირებენ ოქმის სახით. აღნიშნულით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა გუნდურად მიღების პრინციპი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, მრჩეველთა საბჭოს და საგნობრივ კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმები, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც მუდმივად ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, ახორციელებენ მონიტორინგს მოსწავლის პროგრესზე (შექმნილი აქვთ და აწარმოებენ მოსწავლეთა პორტფოლიოებს). სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაციაში შედის: საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი - სკოლის ექიმი, დარაჯი და დამლაგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის სტრუქტურა;
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული (2025 წლის 24 აპრილის N24 ბრძანება) აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და გამოყენების სფეროს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვა/შერჩევას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები, ასევე, წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დირექტორის ბრძანებით ასევე შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია: ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; ბ) მასწავლებელის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება; დ) სკოლის

მასწავლებლებისთვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, პრევენციული პოლიტიკის მართვის უზრუნველსაყოფად სკოლა ითვალისწინებს მასწავლებელთა ბიულეტენს, დეკრეტულ შვებულებას. ინტერვენციის პოლიტიკის მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროების შემთხვევაში (ავადმყოფობის, უხელფასო შვებულებით სარგებლობის) სასწავლო პროცესში ერთმანეთს ენაცვლებიან ერთი საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. **სკოლის მიერ არ არის შემუშავებული დოკუმენტი (არც არსებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არ შედის) პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 28/11/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი. საკონკურსო განაცხადი თავსდება საჯაროს სკოლის სივრცეში და ასევე - ელექტრონულ პლატფორმაზე https://teacherjobs.ge/. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც, ასევე, გათვალისწინებულია მოწვეული პირები: სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატის შერჩევის თაობაზე.

ვიზიტის დროს, სკოლის დირექციის მიერ წარმოდგენილ იქნა სხდომის ოქმები და კონკურსის წესით შერჩეული პირის დანიშვნის აქტი-დირექტორის ბრძანება. ახალ თანამშრომელზე სკოლაში იხსნება პირად საქმე, სადაც განთავსებულია კადრების აღრიცხვის ფურცელი, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სამსახურში დანიშვნის ბრძანება და კანონმდებლობის შესაბამისი ყველა სახის ცნობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებულია 20 მასწავლებელი (მონაცემები გადამოწმებულია eschool_შიც), საიდანაც 18 (თვრამეტი) უფროსი მასწავლებელია, ხოლო 2 (ორი) - სტატუსის გარეშეა. **უსტატუსო მასწავლებლებლები დასაქმებული არიან დაწყებით კლასებში, ერთ მათგანს აქვს 9 (ცხრა) საათი, ხოლო მეორეს - 19 საათი. ასევე, დაწყებითის მასწავლებლები სამართლებრივი ნორმების დარღვევით ატარებენ ისტ -ის, ესთეტიკური აღზრდის საგნების გაკვეთილებს, არცერთ მათგანს არ აქვს შესაბამისი სტატუსი.** დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ვერ ხერხდება აღნიშნულ საგნებზე სპეციალისტების დასაქმება კადრების არ არსებობის გამო. სოფელში არ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, ხოლო ქალაქ ქობულეთიდან სკოლა დაშორებულია 6 (ექვსი) კილომეტრით, შესაბამისად, აღნიშნულ საათებზე მსურველები არ არიან. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ორჯერ მუსიკის მასწავლებლის ვაკანსია, თუმცა, არავინ დარეგისტრირებულა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. დანარჩენ საგნებზე, მათ შორის, არც დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებზე (რაზეც დასაქმებულია ორი უსტატუსო მასწავლებელი) კონკურსი გამოცხადებული არ ყოფილა. სკოლას მიეცა მითითება, რომ სკოლაში დასაქმებული მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21(3)-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მოთხოვნას, და ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილების შესაბამისად, მხოლოდ მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შეუვსებლობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია მასწავლებელი დაასაქმოს მოცემულ პოზიციაზე ვაკანსიის შევსებამდე უსტატუსოდ, რაც ასევე ასახული უნდა იყოს მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში. **სკოლაში, ასევე დასაქმებულია სკოლის დირექტორის ოჯახის წევრი (შვილი) სამეურვეო საბჭოს შესაბამისი შეთანხმების გარეშე.** სკოლას მიეცა მითითება აღნიშნული საკითხიც მოიყვანოს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტთან შესაბამისობაში. **ასევე, სკოლის ექიმს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების თანახმად, არ აქვს წარმოდგენილი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 22/09/2026 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში სკოლის პერსონალი/მასწავლებლები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად იცავენ სკოლის ინტერესებსა და საჭიროებებს, დახმარებას უწევენ ერთმანეთს პროფესიულ ზრდაში. მასწავლებლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება. ისინი თავიანთი საქმიანობის ფარგლებში არიან თავისუფალი, დირექცია მათ საქმიანობაში, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, მხოლოდ მათი სურვილის შესაბამისად და შემდგომი მხარდაჭერის მიზნით ერთვება. ვიზიტის დროს გასაუბრებისას სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ საერთო ღირებულებები და ინტერესები. მათ თანამშრომლობაზე დადებითად აისახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის, ძირითადად, ხდება კათედრებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე. გასაუბრებისას სკოლის პერსონალის მიერ აღინიშნა, რომ სკოლას აქვს გამოცდილებისა და შეძენილი ცოდნის გაზიარების ტრადიცია, კერძოდ, როდესაც სკოლის თანამშრომლები ესწრებიან ახალ ტრენინგს, ან რაიმე სახით იძენენ ახალ ცოდნას უზიარებენ კოლეგებს. ინტერვიურებისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ხდება თანამშრომლებზე მადლობის გამოცხადება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. ასევე, აღნიშნული დოკუმენტი აწესრიგებს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი 3.2.1.2 არ ფასდება,** თუმცა, პედაგოგთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის სკოლას ესაჭიროება მიზნობრივი ტრენინგები,

რათა მასწავლებლებმა შეიძინონ საჭირო ცოდნა და უნარები მიზნის მისაღწევად, პროფესიული განვითარების კონკრეტული გეგმის შეთავაზების მიზნით უკუკავშირის საფუძველზე უკეთესად გამოკვეთონ მასწავლებელთა საჭიროებები.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების სხვადასხვა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. სკოლაში დამკვიდრებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება - საგაკვეთილო დაკვირვებებით და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. ვიზიტის დროს ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უკავშირდება მოსწავლეთა შედეგებს. მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას. პროფესიული განვითარება და ნებისმიერი აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში ახალი კადრების მიღებისას ხდება მათი წარდგენა და გაცნობა პედაგოგიური კოლექტივის წინაშე, შეხვედრა უშუალო კათედრის წევრებთან, სამუშაო გეგმის, შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა. ახალი კადრი ეცნობა სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციის საკითხები ასახულია სასკოლო დოკუმენტში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

საგნობრივი კათედრები, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და სკოლაში არსებული ყველა სასწავლო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი რესურსით (ლეპტოპი, პროექტორი, ეკრანი და ა.შ.) და თითოეულ მასწავლებელს აქვს მათზე წვდომა. მასწავლებლებს აქვთ საშუალება განახორციელონ ნებისმიერი ინოვაციური იდეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესის მე-10 მუხლი დეტალურად აღწერს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესებს. წახალისების მექანიზმები შემდეგია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი პრემიის გაცემა,

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის უზრუნველსაყოფად, სკოლამ შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებულია სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის N15 ბრძანებით), რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის დაგეგმვისაკენ და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ამ პროცესის განხორციელებას, მათ შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების განსაზღვრას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა - პროცესების ერთობლიობაა და მიმართულია ხარისხის უზრუნველსაყოფად. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესმა ნათლად დაანახა სასკოლო სასწავლო გეგმის, კურიკულუმების გადახედვის აუცილებლობა. მონიტორინგისა და შეფასების პროცესების მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ გაწეროს პროცესების განხორციელება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე, პრინციპის დაცვით. სკოლის დირექცია მიიჩნევს, რომ რევიზირებულ დოკუმენტაციაში მკაფიოდ გაწერს იმ მექანიზმებს, რომელიც შემუშავებული იქნება ხარისხის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ნუსხა წარმოდგენილია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნული პროცესები, ასევე, აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შრომით ხელშეკრულებებში, სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანაწესში. ინტერვიურებისას, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, მმართველობით პროცესებთან დაკავშირებით, საქმიანობა მიემართება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისკენ, უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნისკენ. ძირითად და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ეს საქმიანობა დამყარებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ასევე შრომით ხელშეკრულებებში, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია

მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. განცხადებებზე რეაგირება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურები. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს: ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ვიზიტის დროს ექსპერტებმა კითხვით მიმართეს დაწესებულების წარმომადგენლებს დისციპლინური წარმოების სტატისტიკის თაობაზე. როგორც გაირკვა, 2024-2025 სასწავლო წელს არცერთ წარმოებას არ ჰქონდა ადგილი. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია სოფლის თემის სპეციფიკით, ასევე - დაწესებულებაში შექმნილია თანამშრომლობითი, მხარდამჭერი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას მიღებული აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ექთანი, ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებულია ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებულია სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის N15 ბრძანებით);
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მშობლებს, სკოლის თანამშრომლებს და მოსწავლეებს აცნობს სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ. ამისათვის დაწესებულება უზრუნველყოფს მათთვის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიწოდებას: აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია საჯაროდ, თვალსაჩინო ადგილას და სკოლის ვებ.გვერდზე. უკუკავშირის მიღების ფორმად დაწესებულებაში დამკვიდრებულია შეხვედრები საგნობრივ კათედრებზე, პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, ასევე, მშობლებთან კომუნიკაცია პირისპირ, თუ დახურულ ჯგუფებში სხვადასხვა სოციალურ ქსელებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში კანონმდებლობითაა განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს არსებობა, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლის შენობა უკვე აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, თუმცა, **სკოლაში სათვალთვალო კამერები არ არისდამონტაჟებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას სკოლის შენობის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, კიბის უჯრედის დათვალიერება.** სკოლაში დასაქმებული არიან დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა

და გარე პერიმეტრის დაცვას. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დასაქმებულია ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველად დახმარებას. შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი, რომელიც სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავს სკოლაში შემსვლელ-გამსვლელ პირებს. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. დამრიგებლები ყოველდღიურად ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორია სრულად შემოღობილია. სკოლას აქვს 2 (ორი) გასასვლელი - ძირითადი და სათადარიგო.

სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა, **სკოლამ ვერ წარმოადგინა: მიწერილობა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე ვერ წარმოადგინა - უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N003988925, 23/06/2025წ., სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, რომლის თანახმად, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ აღენიშნება რაიმე სახის დაზიანებები/დეფორმაციები, რაც საფრთხეს შეუქმნის შენობის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თანამშრომელთა ხელშეკრულებებში **არ იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება**. **რჩევა:** მიზანშეწონილია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 26/12/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს ექიმი. ექიმს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული აქვს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი და ფლობს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პრინციპებსა და განხორციელებაში პრე-ბაზისურ კურსს. **თუმცა, სკოლის ექიმის მიერ არ არის წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია"; ბ) „საოჯახო მედიცინა"; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი".** ექიმის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისია. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება

დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ სკოლის ექიმს. იგი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ს დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დადგენილ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. შინაგანაწესი, თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშემწყობია სკოლის მრჩეველთა საბჭო. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგთა მორიგეობის განრიგი, მოსწავლეთა სკოლიდან გაშვებას აკონტროლებს შემოსასვლელში დარაჯი, ასევე, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აწარმოებს სკოლაში უცხო პირთა შესვლის რეგისტრაციას სპეციალურ ჟურნალში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის შინაგანაწესის, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის და სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. კლასებში რეგულარულად ტარდება სადამრიგებლო საათეები, სადაც მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად მსჯელობენ სხვადასხვა საკითხებზე და სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის გზებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე დასუფთავების მონიტორინგს ახდენს სკოლის დირექტორი და სკოლის ექიმი. მოწესრიგებული

და გამართულია სველი წერტილები: ცალკე ვაჟებისათვის, ცალკე გოგონებისთვის, ცალკე მასწავლებლებისთვის, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი; ყოველდღიურად სადეზინფექციო საშუალებით სუფთავდება საკლასო ოთახები, დერეფნები, სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი, სკოლის ყველა ოთახს აქვს თავსახურიანი სანაგვე ურნა. სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო, მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო, რაზეც პასუხისმგებელია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ასევე პერიოდულად ხდება სკოლის შენობის დეზინფექცია მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ, რისთვისაც სკოლა მიმართავს შპს „ქობულეთის დეზინფექციის სადგურს“, რომელთანაც გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა პერსონალურ მონაცემებს იცავს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა კანონის შესაბამისად. დირექტორის N7, 29/07/2025წ, ბრძანებით განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ქ. ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი. პერსონალური ინფორმაციის გაზიარება ხდება მშობელთა კრებებსა და სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების მეშვეობით. დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მშობლებს შვილის წარმატებებს. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ **სკოლის დირექტორის კაბინეტში, არის მონიტორი, რომელზეც გადაიცემა სკოლის ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული კადრები და მასზე წვდომა ნაცვლად სკოლის მიერ განსაზღვრულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისა, აქვთ სკოლის დირექტორს - შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ტექნიკური ან ორგანიზაციული საშუალებებით მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების (მათ შორის, ვიზუალური იდენტიფიკაციის) დაცვა. ასევე, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სპორტულ დარბაზში დამონტაჟებული იყო ვიდეო თვალი, რომელიც ჩართულ მდგომარეობაში იყო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 26/12/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool) ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექციას, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ

მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).
ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად, დარაჯების მუშაობა (დაკვირვების რეჟიმში), მათი დახმარება, მორიგეობა სართულებზე, დერეფნებში, ეზოში და ა.შ. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის). სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ 2025-2026 სასწავლო წლისათვის დაიხვეწება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები, გეგმავენ გამოკითხვის სხვადასხვა ფორმას: ანკეტურს, ინტერვიუს, წერილობითს. შესაბამისად, სკოლა სისტემატურად მოახდენს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N003988925, 23/06/2025წ., სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;
- სკოლის ექიმის პირადი საქმე;

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის N7, 29/07/2025წ, ბრძანება -პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ფართია 1200 კვ.მ. შენობა ორსართულიანია, სკოლაში ფუნქციონირებს სულ 12 საკლასო ოთახი. მათ შორის: პირველ სართულზე 5 საკლასო ოთახი, მეორე სართულზე 7 საკლასო ოთახი. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ფანჯარა. პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი (აქვს გასახდელი ოთახები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის). მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტრის სამუშაო ოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია (ინტერნეტში ჩართული 12 კომპიუტერით). სპორტული დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი

ინვენტარით, სკოლის ეზოში არის სპორტული მოედანი. სკოლა აღჭურვილია საფეხურების შესაბამისი მერხებით (სულ: 310), დაფებითა და სხვა საჭირო ინვენტარით. სკოლას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. საქვაბე განთავსებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ შენობაში. სკოლას აქვს სივრცე (ოთახი), რომელიც გამოყოფილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის, თუმცა ოთახში არ არის სველი წერტილი, ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდა (ცდებისთვის) და ასევე სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში მოქმედი რეგულაციებით, წესებით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლის ვებგვერდით - დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისთვის, რიგ შემთხვევებში, მშობლებისთვის. სკოლაში არის სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სკოლა სრულად შემოღობილია. აქვს სკოლის ეზო, რეკრეაციული ზონები, რომელთა გამოყენება ყველასთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მრავალმხრივ აქტივობას.

კომპიუტერული ლაბორატორია თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის პერსონალი გადანაწილებულია სხვადასხვა სამუშაო სივრცეში და იყენებენ სკოლის ინტერნეტსა და სკოლის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი (ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს. ბიბლიოთეკის განახლება მუდმივი პროცესია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოს თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკარს მატერიალური სახით აქვს სახელმძღვანელოების (კლასგარეშე ლიტერატურა) გაცემა - დაბრუნების ჟურნალი. ბიბლიოთეკაში საჯაროდ გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, მკითხველთა უფლებები, პასუხისმგებლობა და მოვალეობები. სკოლის დირექტორის

განმარტებით, ბიბლიოთეკა რეალურად ასრულებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ფიზიკური გარემო ნაწილობრივ ადაპტირებულია: სკოლას მხოლოდ პირველ სართულზე აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ/შშმ პირებისათვის. **სკოლის შენობის სართულებზე გადაადგილებისთვის არ არის ლიფტი და არც პანდუსია დამონტაჟებული**. სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურსოთახი, სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 22/09/2027 წელი. ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის მთელი ინფრასტრუქტურა ემსახურება სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას. სპორტული აქტივობებისათვის გამოიყენება შიდა სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი. სასკოლო აქტივობები და ღონისძიებები ტარდება შენობის პირველი სართულზე, სკოლის ეზოში, სკოლის ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. აღნიშნული სივრცეები პასუხობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებებს. ყველა ეს სივრცე გამოყენებულია სასკოლო მიზნებისთვის. სასკოლო გარემო მორგებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის საჭიროებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის N 23 ბრძანებით);
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის საინვენტარიზაიო უწყისი;
- სკოლის ვებ.გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მასწავლებელსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათი შვილების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. მასწავლებლები და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და აქტიურად უზიარებენ გამოცდილებას/პოზიტიურ პრაქტიკას ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების საგაკვეთილო პროცესში ინტერგრირების შესახებ. მშობლებთან და კოლეგებს შორის მარტივი კომუნიკაციისთვის ასევე იყენებენ სხვადასხვა სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს.

როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სკოლა ამ ეტაპზე იყენებს ლოკალურ ინტერნეტს, თუმცა სკოლის უზრუნვეყოფილია WiFi - თაც.

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების სისტემა და წესი, რომელიც ხორციელდება ელექტრონული სისტემით - Eflow, eschool. სკოლის საქმისმწარმოებელი სისტემაში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ წერილებს, აქვე ხდება ბრძანებების, წერილების, მოხსენებითი ბარათების აღრიცხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა განაწილებულია შემდეგნაირად: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით და პროექტორით. აღნიშნულ ლაბორატორიაში სრულფასოვნად მიმდინარეობს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები მოსწავლეთათვის. გაკვეთილების შემდეგაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია ადმინისტრაცია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა. სამასწავლებლოში განთავსებულ კომპიუტერებთან მასწავლებლები მუშაობენ, ქმნიან ელ.საგანმანათლებლო რესურსებს, აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის საინვენტარიზაიო უწყისი;
- სკოლის ვებ.გვერდი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow). სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მისთვის მინიჭებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით იგი უზრუნველყოფს საქმისწარმოების მუშაობას. კერძოდ: ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, აგრეთვე, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებებს, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა

და ადრესატისთვის წარდგენას და სხვ. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით.

ბრძანებები არ არის სისტემატიზებული საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით, თუმცა არ არის წლების მიხედვით აკინძული, სკოლა არ აწარმოებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალებს და არც შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 25/12/2026 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის გამოყენების საშუალებით, ელექტრონული ფოსტისა და შესაბამისი პროგრამების eSchool, eflow-ს მეშვეობით. eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ბაზაში ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილება, ასევე საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. არჩეული აქვს სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვს სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე

დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება მითითებულ ვადებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი;
- Eschool, eflow.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი (facebook), სადაც თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავსდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მშობლებს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში აქტიურადაა დანერგილი უშულო კომუნიკაციის პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. პერიოდულად იმართება საინფორმაციო სახის შეხვდრები მოსწავლეებთან, აგრეთვე, სკოლის დირექციის უშუალო მონაწილეობით იმართება შეხვედრები მშობლებთან.
სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს განსაზღვრული ვებგვერდის, ასევე სოციალურ ქსელში შესაბამისი გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აღნიშნულ პლატფორმებზე ინფორმაციის განთავსების საფუძვლად იყენებს სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის შინაარსს (მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები და ა.შ.). სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება მშობლის თანხმობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის დროს გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებენ საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს, ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი. ასევე ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცია უფრო შირად, ხდება პირისიპირ შეხვედრების გზით. ამ შეხვედრებზე მიღებულ უკუკავშირს სკოლა ითვალისწინებს შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც სრულყოფილადაა გამოქვეყნებული ყველა ის საჯარო ინფორმაცია, რაც განსაზღვრულია სტანდარტით. გამოქვეყნებული ინფორმაცია სახელმწიფო ენაზეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის სოციალური ქსელი.
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის ვებ.გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია შემდეგი ხარჯების დაფინასება:

- სკოლის პერსონალის შრომითი ანაზღაურების დაფინანსება;
- კომუნალური ხარჯების გაწევა;
- საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა;
- საოფისე ავეჯი.

სკოლა თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. სკოლის წლიური შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე და დამტკიცებულია ვადებში.

ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი დგება და მტკიცდება მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში. ვაუჩერული დაფინანსების ცვლილებასთან ერთად (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა) ხდება ბიუჯეტის კორექტირება. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის სწორად დაგეგმვისა და მომზადებისას გათვალისწინებულია მხოლოდ ვაუჩერული შემოსავლები, სკოლას არ აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (იჯარები). მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია პრიორიტეტული მიმართულებები და სავარაუდო ხარჯები. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშს სკოლის ფინანსური საქმიანობის შესრულების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. ბიუჯეტის გეგმის პროექტს შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბუღალტერი, სკოლის დირექტორის მონაწილეობით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. ასევე, სკოლას აქვს სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ხარჯვის განხორციელება, ყოველივე აღნიშნული არის სრულად გამჭვირვალე. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველწლიურად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს დაფინანსების დინამიკის შესწავლას, რისი ანალიზის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის წლიური ანგარიშის წარდგენა ხდება სამეურვეო საბჭოსთვის ყოველი წლის დასრულებამდე, სადაც ხდება დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დაწვრილებით აღწერა სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის.

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გეგმავს ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართულობის უზრუნველყოფას, რისთვისაც შეიქმნება სამუშაო ჯგუფები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია..**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სამეურვეოს საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ზოგად დებულებას, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაოს დაწყების

და დამთავრების დროს, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესს, შრომითი ანაზღაურების გაცემის წესს, შვებულების გაცემის და ხანგრძლივობის წესს, შრომითი პირობების დაცვის წესს, დასაქმებულის და მოსწავლის წახალისების წესს, დისციპლინური დევნის და პასუხისმგებლობის სახეებს დასაქმებულის/მოსწავლის, დისციპლინური სახეების დაკისრების წესს, სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადებს და პირობებს, დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადების და საჩივრის განხილვის წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, სკოლაში ჩაცმულობის წესს. სკოლის შინაგანაწესი თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი. ამ სტრუქტურაში მასწავლებელსა და მშობელთან ერთად თანაბარი რაოდენობის პრინციპით არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი წარმომადგენელი (მოსწავლე). სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ბოლო 4 (ოთხი) წლის განმავლობაში სკოლაში არ დაფიქსირებულა და, სკოლის დისციპლინურ კომიტეტში განსახილველად არ შესულა დისციპლინური დევნის დაწყების არც ერთი ფაქტი.

მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები გაწერილია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სკოლასთან დადებულ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებები გაფორმებულია ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, დადასტურებულია ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა სავალდებულო რეკვიზიტებს. სკოლაში ფუნქციონირებს კანონით გათვალისწინებული სტრუქრურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო, ორგანიზებულ და კეთილგანწყობილ გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არსებული, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციების შინაარსი გამჭვირვალეა. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მოსწავლის უფლებების გაცნობა სხვადასხვა საშუალებებით: გარდა იმისა, რომ შინაგანაწესი გამოკრულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას სკოლაში, სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შინაგანაწესს. დამრიგებლები აღნიშნულს ასახავენ სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე, გამოკრულია ყველა საჭირო ცხელი ხაზის ნომრები (112, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსი და ა.შ.) სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო

ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესენჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხელშეკრულებები ხელმოწერით არის დადასტურებული და შეიცავს მხარეთა სავალდებულო რეკვიზიტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლასა და მმოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ, მოსწავლე რეგისტრირდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, აგრეთვე, გათვალისწინებული და გაწერილია სკოლის

სასკოლო სასწავლო გეგმაში. ზოგადად, სკოლა გადაწყვეტილებებს აღნიშნულ საკითთან მიმართებაში, ხელმძღვანელობს და გადაწყვეტილიებებს იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მშობლებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ელექტრონული ჟურნალით სარგებლობას, მოსწავლეთა გაცდენები და ნიშნების ფურცელი ელექტრონულად (მაილით, მესენჯერში, ტელეფონზე) ეგზავნებათ დამრიგებლების მიერ. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მშობლებთან მათი შვილის აკადემიური მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. **სკოლას არ აქვს შეიმუშავებული სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რითაც განისაზღვრება მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მობილობის, კლასის და საფეხურის დაძლევისათვის საჭირო პროცედურები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 30/09/2025 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს და ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“-თ, „სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“-თ. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესახებ ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება სატელეფონო საუბრების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას 2024-2025 წელს არ განუხორციელებია მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი, რომელიც განთავსებულია პორტალზე https://skolebi.emis.ge/, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ. მათ შორის არის, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. 2024-2025 სასწავლო წელს მოსწავლეებს არ სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდებლო მომსახურებას, შესაბამისად, ვებ. გვერდზე არ არის გაზიარებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე, გამოქვეყნებულია ვებ.გვერდზე, ზიარდება სოციალურ ქსელში პერსონალური მონაცემების დაცვით, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ წარმომადგენელს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე, სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ.გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურგი საბჭოს მიერ. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, დაწესებულება თანამშრომლობს სკოლამდელ დაწესებულებასთან. საბავშვო ბაღის აღსაზრდელების სასკოლო ჯგუფი ესწრება სკოლაში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებს, იცნობს მის ინფრასტრუქტურას, ერთვება სხვადასხვა ღონისძიებებიში (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების გაცილება). სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშავოს დოკუმენტი - სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც ასახული იქნება ის რეგულაციები, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების ადაპტაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეთა ემოციურ მხარდაჭერაზე. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საზეიმო ღონისძიება, საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების შესაბამისად; იგეგმება სახალისო აქტივობები.
სკოლაში რეგულარულად ტარდება სადამრიგებლო საათები, სადაც ბავშვები საუბრობენ თავისუფალ თემებზე. სასწავლო გარემოსთან ახალი მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სასკოლო აქტივობები, მათ შორის არაფორმალური მიმართულებით (მაგალითისთვის: ექსკურსიები), სადაც მათი მონაწილეობა აჩენს სკოლის სიყვარულისა და მიკუთვნებულობის გრძნობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის დროს გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ყველა მოსწავლე აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სისტემატურად იღებს თითოეული საგნის მასწავლებლისგან უკუკავშირს: ზეპირ განმავითარებელ შეფასებას, რეკომენდაციას, კონსულტირებას. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში, აღნიშნულ პროცესში აქტიურად არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საშემოდგომო გამოცდებისა და ექსტერნატის გამოცდებისთვის მოსწავლეთა

მომზადების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან გასაწევი კონსულტაციების ვალდებულება. მოსწავლეები, რომლებიც ოლიმპიადებში, კონფერენციებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, მასწავლებლები იღებენ ვალდებულებას დაეხმარნონ მას საგნობირივი ცოდნის მობილიზებაში, ამ მიზნით მასწავლებელი ადგენს მოსწავლის მომზადების პროგრამას, განრიგს და მუშაობს მასთან დამატებით. **სკოლას მიეცა რჩევა:** შეიმუშავოს რემედიაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ინტერვენციის ფორმებსა და ხანგრძლივობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა სხვადასხვა საშუალებით უწევს მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა უფლებების რეალიზებისთვისაა გამიზნული. მართალია, მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი ცენტრალიზებულია და გულისხმობს გარე მხარდამჭერ მექანიზმს, თუმცა სკოლის დირექციის მხარდაჭერა შუამდგომლობით გამოიხატება. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციაში. გასაუბრებისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა რამდენიმე აქტივობა: ჩატარდა კონკურსი ლექსების მხატვრულ კითხვაში, რომელშიც ჩართული იყო დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

ვიზიტის დროს გასაუბრებისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს, რომ მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, ამ მხრივ სკოლის მიერ ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ კონკურსებში, ოლიმპიადებში, რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ როდესაც მოსწავლეს უჩნდება სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, ჯერ საგნის მასწავლებელი იწყებს დამატებით მუშაობას მოსწავლესთან, დახმარების მიზნით აწვდის ინფორმაციას მშობელს, შემდეგ ერთვება კლასის ხელმძღვანელი და დირექცია პირველადი ღონისძიებების გატარების მიზნით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ თუ სკოლა ვერ დაინახავს მოსწავლის პროგრესს, მაშინ სკოლა, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, პროცედურების დასაწყებად მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს შეფასებისთვის. შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო საქმიანობის დროს. დაგეგმილია მშობელთა ჩართულობის მიზნით აქტივობები (კითხვარის გამოყენებით კვლევის ჩატარება). მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა მომზადება ოლიმპიადებისთვის (რეფლექსია);
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის ტრანსპორტით უზრუნველტოფის დოკუმენტაცია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელთან „ახალ ტალღა“, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში სკოლას სტუმრობენ კოლეჯის წარმომადგენლები, აცნობენ სკოლის მოსწავლეებს კოლეჯის პროგრამებს და აწვდიან მათ ინფორმაციას გარკვეული სერვისების შესახებ. ასევე სადამრიგებლო მუშაობის ფარგლებში საბაზო საფეხურის მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეები დამრიგებლების ინიციატივით სტუმრობენ კოლეჯს ,,ახალი ტალღას“-ს, ათვალიერებენ კოლეჯს და ეცნობიან კოლეჯის სასწავლო პროგრამებს. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ წინა წლების აქტივობების

შედეგად სკოლის რამდენიმე მოსწავლემ სწავლა გააგრძელა აღნიშნულ კოლეჯში, რამდენიმე მოსწავლე კი სკოლის პარალელურად სწავლობს და ეუფლება კოლეჯში წარმოდგენილ პროგრამებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას პერიოდულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. პროფორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა და უნარები, რომელიც სჭირდებათ წარმატებული არჩევანის გასაკეთებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ ყოველი შემდგომი სასწავლო წლის დაწყების წინ ხდება წინა სასწავლო წლის შედეგებისა და მონაცემების ანალიზი, რის საფუძველზეც სკოლა ითვალისწინებს წინარე შედეგებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ კლასის დამრიგებელთა გამოკითხვით მუდმივად იკვლევს სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში, ახდენს შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავს ღონისძიებებს სწავლა-სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღა“-სთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში სკოლა იყენებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ინკლუზიური განათლების გზამკვლევს. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკითხებს, განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას. ინკლუზიური განათლების ხარისხის გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღნიშნულ პროცესში ჩართული სპეციალისტი. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, რომლის სწავლა-სწავლების პროცესს ემსახურება 1 სპეციალური მასწავლებელი. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მასწავლებელი ეცნობა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაკეთებულ შეფასებას. სამუშაო გეგმაში შეაქვთ ისეთი საკითხები და აქტივობები, რომელიც შეესაბამება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა მხარდაჭერითა და ინიციატივით ხდება ტრანზიციის ხელშემწყობი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა-ჩატარება. დირექცია ახდენს სსსმ მოსწავლის სწავლა სწავლების პროცესის შიდა მონიტორინგს, რომლის მიზანია ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანერგვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმები გაწერილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, რომელიც მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და სკოლაში მომუშავე სხვა პერსონალთან, თოთოეული მათგანი აქტიურად მონაწილეობს ისგ ჯგუფის შეხვედრებში, კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, კომპლექსური დავალების ადაპტირებაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, აქტიურად არიან ჩართული სსსმ მოსწავლის მშობლები, რომლებიც ხელს უწყობენ საჭიროებების უკეთ განსაზღვრას. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლის დირექტორის ბრძანებით, სსსმ მოსწავლეზე შექმნილი ისგ ჯგუფი, სასწავლო წლის განმავლობაში, ატარებენ შეხვედრებს. ისგ ჯგუფის შეხვედრებს ესწრება ყველა საგნის მასწავლებელი და მშობელი. ჯგუფის წევრების მიერ ხდება მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინება, რაც ასახულია შეხვედრის ოქმებში. სპეციალური მასწავლებლის მიერ, ასევე ხდება სსსმ მოსწავლის გაკვეთილზე დასწრება

დაკვირვების მიზნით და ჩანაწერების გაკეთება. სკოლაში ეწყობა სსსმ მოსწავლის სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელისშემწყობი ღონისძიება-აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლის ხელშეკრულება;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

„საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში“ სკოლას ემსახურება ორი მიმართულებით ერთი ტრანსპორტი, რაზეც სკოლაში გამოყოფილია მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დაწესებულება არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დაწესებულება არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო მომსახურების ტაბელის ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალტიეტის სოფელ გვარას სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია შექმნილია ისე, რომ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და მრავალმხრივი ინტერესების ასახვა. ეს პროცესი საშუალებას იძლევა, კურიკულუმის შინაარსი და მიმართულებები დაფუძნდეს არა მხოლოდ ზოგად საგანმანათლებლო სტანდარტებზე, არამედ იმ კონკრეტული სკოლასა და მის გარემოში არსებულ საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და მოლოდინებზე. სკოლამ წარმოდგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მასწავლებლებისა, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით, რაც გაწერილია უშუალოდ დოკუმენტში, რის მიხედვით შექმნილია კათედრების თითოეული (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საგანმანათლებლო საფეხურის კურიკულუმები: რომლის შინაარსობრივი ნაწილი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვას და წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია ისე, რომ მასში აისახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მისი შინაარსი და მიმართულებები განსაზღვრულია არა მხოლოდ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, არამედ იმ უნიკალური საჭიროებებითა და მოლოდინებით, რომლებიც არსებობს კონკრეტულ სასკოლო სივრცეში. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და მოტივაციას, მშობლების ხედვებს, პედაგოგების პროფესიულ გამოცდილებასა და ინიციატივებს,

აგრეთვე ადგილობრივი საზოგადოების კულტურულ და სოციალურ კონტექსტს. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასკოლო პროგრამა იყოს უფრო აქტუალური, პრაქტიკულად მნიშვნელოვანი და სასკოლო გარემოსთან მაქსიმალურად შესაბამისი. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით შექმნილია თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის საგნების კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილი შინაარსობრივი ნაწილი გამოკვეთილია მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მუდმივად ხორციელდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, რასაც ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რას ხელს უწყობს თითეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, სადაც ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობისას, სხვადასხვა კათედრის წარმოამდგენელ პედაგოგებთან ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის შემუშავება ასევე მისი სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაბამისი რევიზია და დახვეწა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რას საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში, რაც წარმოდგენილია თითოეულ საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

გასაუბრებისას სკოლის წაქრმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან პედაგოგები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან, რომ გაითვალისწინონ მოსწავლეების, მშობლებისა და ადმინისტრაციის ინტერესები, რეკომენდაციები და სურვილები. **თუმცა, სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა მშობელთა მიერ კურიკულუმის შესახებ გარკვეული უკუკავშირის/რჩევის/რეკომენდაციის/მოსაზრების მიღებისა და გაზიარების პროცესს.** სკოლას განემარტა, რომ ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მშობლების, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრთა თანადგომასა და პასუხისმგებლობის გაზრდას, რის შედეგადაც სასწავლო პროცესი ხდება უფრო გამჭვირვალე, თანხმობაზე დაფუძნებული და საერთო მიზნებზე ორიენტირებული. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის გაცნობისა და პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი

მეცნიერებების თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის კურიკულუმის შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა მასწავლებელი, მათ გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ასახეს სასკოლო კურიკულუმებში შემოქმედებითი ბუნების ტიპის დავალებების მიხედვით, რის ნიმუშებიც წარმოდგენილია თითოეული საგნის დოკუმენტის შესაბამის გრაფაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 02/09/2026 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტები;
- კათედრების საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. აქტივობების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ძირითადად ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაობზე- საბაზო და საშუალო საფეხურზე. სასურველია გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს მარტივი, უსაფრთხო

	ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლებას. **ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ლაბორატორია,** აქვს გარკვეული რაოდენობის ჭურჭელი და რეაქტივები, რაც ზოგიერთი უსაფრთხო ცდის საკლასო ოთახში ჩატარების საშუალებას იძლევა. პედაგოგები, სწავლების პროცესის გასამრავალფეროვნებლად ელ.რესურსებს იყენებენ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მისი შინაარსი და სტრუქტურა ეფუძნება იმ პრინციპს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრალური ფიგურა არის მოსწავლე – მისი საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები და განვითარების პერსპექტივა. სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების (ჩვენი საქართველო, მე და საზიგადოება, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, რის მიხედვით ასახულია მოკლევადიანი (შუალედური) და გრძელვადიანი მიზნები, რასაც ახლავს საჭირო რესურსები და მეთოდოლოგიური ნაწილი, რის მიხედვით მოსწავლეს შეძლებს შემოქმედებითი პროდუქტი შექმნას და საგნობრივი სტანდარტის კონკრეტულ შედეგზე გასვლას, რაც ასევე მკაფიოდ არის ასახული კურიკულუმის ჩარჩოში.
უცხოური ენები	მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები გათვალისწინებულია სასწავლო მიზნებისა და აქტივობების დაგეგმვისას. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების ტიპის დავალებები, სადაც სასწავლო მიზნები და შედეგები დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებასთან, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარებთან
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები ესთეტიკური აღზრდის საგნებში (ხელოვნება,მუსიკა) წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. თუმცა, რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა: დაწყებითი საფეხურის**

	მე-3 კლასის მუსიკის კურიკულუმში ძირითად რესურსად მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო; მე-5 და მე-6 კლასის მუსიკის კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები და მაგალითები შედარებისთვის.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. მაგალითად, პაატა მამფორიას მოთხრობის ,,ეკამ წერილი მიიღო" პერსონაჟ სიტყვის კაცისთვის წერილის მიწერა - მე-2 კლასი; ტ. ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას" პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით - მე-4 კლასი; რ.ინანიშვილის მოთხრობაში ,,მუხა" გადმოცემული ამბის წარმოდგენა პერსონაჟის ხედვის კუთხიდან - მე-5 კლასი;ნარგიზა მგელაძის „უცნობი ბიჭის დღიურის'' მიხედვით პირადი დღიურის ჩანაწერების შექმნა - მე-8 კლასი; „ვეფხისტყაოსნის" კონკრეტული თავების მიხედვით ანალიტიკური ესეს დაწერა სათაურით: „გულანშარო – უჩვეულო გარემო, განსხვავებული პერსონაჟები და ზნეობრივი ღირებულებები"-მე-10 კლასი; პრობლემაზე ორიენტირებული ესსე- ,,ჩატეხილი ხიდი" -ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი" - მე-11 კლასი და სხვა გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე.
მათემატიკა	კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით.

	კურიკულუმში არის კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივ შესაძლებლობებზე. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დასაზუსტებელია თემები სტანდარტთან მიმართებაში, ზოგან არეულია თემატური ბლოკი/თემა ერთმანეთში. სასურველია მათემატიკის კათედრამ საბაზო და საშუალო საფეხურისთვის შეიმუშაოს კურიკულუმის ერთნაირი ფორმატი.
სპორტი	კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშავებული კურიკულუმე/ბი, მასწავლებლის მიერ შედგენილი თვითშეფასების რესურსი სკოლაზე მორგებულია.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე,

	კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები , რომლებიც მასწავლებლებთან გასაუბრებით როგორც ჩანს, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. ის ეფუძნება განათლების საერთო პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების ძირითად მიმართულებებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული თემატური ერთეულების ფარგლებში კონკრეტული საკითხების/ქვესაკითხების მიხედვით, სადაც ცოდნის გამთლიანებას მოსწავლე შეძლებს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ფარგლებში.
უცხოური ენები	კურიკულუმებში ჩართულია აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს თვითგამოხატვას, ინტერესების გამოვლენას, პიროვნული პასუხისმგებლობის აღებას რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გასაზღვრულ მიზნებს. **რჩევა**:

	1. სკოლამ წარმოადგინა დიფერენცირებული სწავლების ამსახველი დოკუმენტი ცალკე ნიმუშად, თუმცა უმჯობესია, კურიკულუმებში რესურსების სახით მოხდეს დიფერენცირებული სწავლების ინტეგრირება, რათა ეს მიდგომა ბუნებრივად აისახოს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში 2. ინტერდისციპლინურობასა და ცოდნის ინტეგრაციისათვის უმჯობესია კურიკულუმში შეიტანონ თემები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე საგანს, სასურველია დაიგეგმოს ციფრული რესურსების, ონლაინ პლატფორმებისა და ინტერნეტ-პროექტების მეტი გამოყენება.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს.
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. სამივე საფეხურის კურიკულუმებით

	სასწავლო პროცესში შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსური დავალებების შესრულება.
სპორტი	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებშ საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზ მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივა შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები. უნდა აღინიშნოს, რომ I- VI კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში თვალსაჩინოებად სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ რესურსებს. სკოლას აქვს გარკვეული რაოდენობის ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები, რაც ფოტომასალით დასტურდება. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ლაბორატორია. როგორც პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, მარტივი და უსაფრთხო ცდები საკლასო ოთახში ტარდება. ვფიქრობ, ლაბორატორიის არქონა სკოლაში ქმნის გარკვეულ შეფერხებას ესგ-თი განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო, მეთოდური და ტექნიკური საშუალებები, ხელს შეუწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების სწორად შერჩევა და ეფექტიანი გამოყენება ქმნის ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, სრულად გაითავისოს სასწავლო მასალა, განივითაროს კრიტიკული და შემოქმედებითი უნარები და მიაღწიოს იმ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია კურიკულუმში. ამით სასკოლო კურიკულუმი გარდაიქმნება არა მხოლოდ გეგმად, არამედ პრაქტიკულ ინსტრუმენტად, რომელიც რეალურად ემსახურება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სვეტში ასახულია სასწავლო რესურსები, რომელიც საშუალებას იძლევა დამუშავდეს შემოქმედებითი ტიპის დავალება კონკრეტული საკითხის ფარგლებში. კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მეთოდურად მორგებულია თემებსა და საკითხებზე.
უცხოური ენები	სკოლას აქვს საჭირო რაოდენობისა და ტიპის სასწავლო რესურსები. უზრუნველყოფილია განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი რესურსები და

	მიზანმიმართულად უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. რესურსები ხელს უწყობს როგორც ცოდნის მიღებას, ასევე უნარების განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, ახალი სასწავლო წლისთვის კათედრამ (სამივე საფეხურზე) თემების და საკითხების მიხედვით შეიმუშაოს დავალების ბარათები/შეფასების რუბრიკები დიფერენცირებული სწავლებისთვის.
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები,
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და ზოგ შემთხვევებში მითითებულია გვერდები, ასევე რამდენიმეგან მითითებულია მაორგანიზებელი სქემები. თუმცა გასაუბრების პროცესში პედაგოგები საუბრობდნენ იმ ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. თუმცა , გასაუბრების პროცესში მიეცათ **რჩევა** კურიკულუმში, გარდა სახელმძღვანელოსა, შეიტანონ ის დამატებითი რესურსები რომლებსაც იყენებენ.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სხვადასხვა აქტივობაზე მუშობისას, მასწავლებელები დავალებებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით ამზადებენ. ეროვნული ოლიმპიადისთვის მოსწავლეთა მომზადება. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში, ყველა წესის დაცვით. ინდიკატორთან მიმართებაში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის უნიკალურობისა და ინდივიდუალური საჭიროებების პატივისცემას. ინკლუზიურობის პრინციპი გულისხმობს ისეთ სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს სასწავლო პროცესში და გამოავლინოს თავისი პოტენციალი. დიფერენცირებული მიდგომები კი საშუალებას იძლევა, სასწავლო პროგრამა იყოს მოქნილი და მორგებული როგორც მოსწავლეთა ინტერესებზე, ისე მათი აკადემიური შესაძლებლობებისა და განვითარების ტემპის მრავალფეროვნებაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ

	წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაკურიკულუმის შექმნის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ჩანს რომ უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაცია საერთო კლასში. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, გამოყენებულია გაკვეთილზე სწავლების სხვადასხვა სტრატეგია მოსწავლეთა უნარებისა და დონეების მიხედვით. რჩევა სამივე საფეხურზე: სასურველია მეტი დიფერენვირებული მიდგომა მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური დონეებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. კერძოდ, სხვადასხვა ტიპის საკლასო და საშიონაო დავალებების მიცემა არა სპეციუალური საჭიროების მოსწავლეებთანაც.
ესთეტიკური აღზრდა	,სასწავლო რესურსის“ ჩარჩოში ასახონ ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თითოეული თემის დამუშავებისას.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. მაგალითად, მე-8 კლასისთვის აკაკი წერეთლის მოთხრობა „ბაში-აჩუკის“ მიხედვით შედგენილი დიფერენცირებულ დავალებები, რომლებიც მოიცავს სამ დონეს: საწყისი, საშუალო და მაღალი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სწავლის სტილი; მე-10 კლასის მოსწავლეებისთვის დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილის ანდერძის ეპიზოდზე. დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით (კოგნიტური დონეების მიხედვით – დაბალი, საშუალო და მაღალი); გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა. გასაუბრებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი

	ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებსაც. პედაგოგებს აქვთ ინდ გეგმაზე მუშაობის გამოცდილება. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდგეგმით.
მათემატიკა	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში, დაწყებითი საფეხურისთვის (1-4 კლასი) წარმოდგენილია კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ასეთი რუბრიკის საფუძველზე მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა მზაობის დადგენას. მიღებულ შედეგებს კი იყენებენ სასწავლო პროცესის დასაგეგმად. საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დავალების ბარათებს მზაობის მიხედვით, ასევე, სსსმ მოსწავლისთვის ინდგეგმის მიხედვით ადგენენ დავალებებს, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში ასეთი ბარათები არ მოიძებნება.
სპორტი	მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ მე-2, 3, 4 კლასის მოსწავლისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის

	საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს)

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით ძირითადად სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია . მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება. კურიკულუმები შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებში ხშირ შემთხვევაში, მკაფიოდ არ ჩანს, რომელ შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. კურიკულუმების უმრავლესობას არ აწერია სასწავლო სწელი. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები . რჩევები: 1.მე-3 -4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში მითითებულია ცდის ჩატარება-თუმცა, არ ჩანს, რომელ ცდას ჩაატარებენ მოსწავლეები; კომიქსის შექმნა-არ ჩანს, როგორია კომიქსის შინაარსობრივი მხარე-სასურველია მეტად იყოს დაკონკრეტებული. 2.მე-7 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში სამიზნე ცნება „კვლევა“ არ არის დამუშავებული. 3.მე-8 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება არ არის დამუშავებული. მაგ: 1-ელ თემაში არ არის სამიზნე ცნებები „კვლევა“ , „ჯანმრთელობა და დაავადება; მე-2 და მე-3 თემებში-„კვლევა“ და „ბიომრავალფეროვნება“. 4.მე-9 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში ასევე ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება არ არის დამუშავებული: მაგ. 1-ელ თემაში მხოლოდ სამი სამიზნე ცნებაა განხილული; , მე-3 და მე-5 თემებში არ არის სამიზნე ცნება „კვლევა:, მე-2 , მე-3 და მე-4 თემებში არ არის დამუშავებული სამიზნე ცნებები „კვლევა“ და „ბიომრავალფეროვნება, ხოლო მე-5 თემაში -

	„კვლევა“. 5.ფიზიკის 7-9 კლასის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები დასაკორექტირებელია. შემდეგი ცნებები უნდა იყოს დამუშავებული: მატერია; მოძრაობა და ცვლილებები; ენერგია და ურთიერთქმედება; კვლევა. მაგ. მე-7 კლასის კურიკულუმში შემდეგი სამიზნე ცნებებია წარმოდგენილი: მატერია, ძალა, ფიზიკური პროცესი. ანალოგიური მდგომარეობაა მე-8 კლასის კურიკულუმშიც, მაგ. განხილულია შემდეგი სამიზნე ცნებები-მატერია, ენერგია, ფიზიკური პროცესი. მე-9 კლასის კურიკულუმში კი-შემდეგი სამიზნე ცნებებია განხილული: მატერია, ენერგია, ძალა, ფიზიკური პროცესი. 6.ქიმიის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება არ არის დამუშავებული. მაგ. მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებში, 1-ელ თემაში მხოლოდ სამიზნე ცნებები-ნივთიერება, ქიმიური და ფიზიკური მოვლენები და ქიმიური ბმაა განხილული. სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. 7.ქიმიის საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკაში უნდა ჩანდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს ქმნის მოსწავლე. 8.ქიმიის საბაზო საფეხურის განმავითრებელი შეფასების რუბრიკები ზოგადია, სასურველია მეტად იყოს დაკონკრეტებული. 9.ბიოლოგიასა და ქიმიაში კომლექსური ბუნების დავალებების შეფასების რუბრიკები ზოგადია. სასურველია, მეტად იყოს დაკონკრეტებული. სასურველია, ზემოთ აღნიშნული რჩევები გათვალისწინებული იქნას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტაციით, კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი . ინდიკატორთან მიმართებაში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება განიხილება არა როგორც მხოლოდ საბოლოო შედეგის დაფიქსირება, არამედ როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირებას და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვას. იგი მიმართულია ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და

	სამართლიანობის პრინციპების დაცვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის მიღწევების სრულფასოვან და მრავალმხრივ შეფასებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, (ისტორია, საქართველოს ისტორია, ჩვენი საქართველო, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რომლებიც აგებულია გრძელვადიანი მიზნების პრინციპებით. განმსაზღვრელ შეფასებას მინიჭებული აქვს ქულები, ხოლო განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის მიხედვით ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს და საჭირო უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას. განმასზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინიპებთან მიმართებით.
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს რომ გამოყენებულია შეფასების ფორმები და მიდგომები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნულ სასწავლო გეგმის დოკუმენტში. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების სისტემებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილი და გასაგებია მოსწავლეთათვის. შეფასება ეფუძნება ფაქტობრივ მიღწევებს და არა სუბიექტურ შეხედულებებს. **რჩევა სამივე საფეხურზე** : საჭიროა შეფასების რუბრიკების შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ჰოლისტურ მიდგომას. სასურველია გამოიყემონ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. მაგალითად: მოსწავლეთა თვითშეფასება, პორტფლიო და სხვა. და გაითვალისწინონ შეფასების სხვადასხვა პრონციპები. მაგალითად მრავალფეროვნება - სხვადასხვა ტიპის დავალება სხვადასხვა ტიპის უნარის შესაფასებლად.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას ეძლევა რჩევა : დაწყებით და საბაზო საფეხურის მუსიკისა და ხელოვნების საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მომზადდეს შესაბამისი საფეხურების შერჩეული თემების და საკითხების მიმართებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად, თხზულების შეფასების რუბრიკა - აკაკი წერეთლის მოთხრობა ,,ბაში -აჩუკი“; ნაწარმოების შინაარსი კომენტარით - შეფასების კრიტერიუმები; არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები- ჯემალ ქარჩხაძის ,,იგი“ და სხვა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან თანხვედრაშია სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: დავალების პირობისა და ტექსტის გააზრების შეფასების რუბრიკა, მხატვრული ტექსტის თხრობის შეფასების რუბრიკა; პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; პროექტის შეფასების სქემა და სხვა
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების, ასევე ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და იძლევა საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის როგორც ზოგადი ხასიათის, ასევე კონკრეტული დავალებისთვის/თემისთვის. სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით.
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება მოძრაობაში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებებს, გაწერილია კრიტერიუმები ცნებების მიხდვით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ბრძანება მეთოდოლოგიის შექმნის შესახებ;
- გვარას სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- გვარას საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება ისგ შექმნის ბრძანება
- ოლიმპიადისთვის მზადება
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- მოსწავლეთა ნამუშევრები პროექტ სამედიცინო ბიოლოგიაში;
- კომპლექსური დავალება სამედიცინო ბიოლოგიაში-არა ფსიქოტროპულ ნივთიერებებს;
- შეფასების რუბრიკა ბუნება
- შეფასების რუბრიკა ქიმია
- შეფასების რუბრიკა ბიოლოგია
- შეფასების რუბრიკა ქიმია
- ბიოლოგია-განმსაზღვრელი შეფასება;
- განმავითარებელი შეფასების-რუბრიკა ბიოლოგია;
- განმსაზღვრელი შეფასება ბიოლოგია-ბია რუბრიკა-8 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა-6 კლასი.ბუნება
- შეფასების-რუბრიკა ბუნება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასება 8 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასება 10 კლასი.
- ქიმია- მე-8 კლასი განმსაზღვრელი;
- შეფასების-რუბრიკა ქიმია;.
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა-5-6 კლასი - ბუნება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა-9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასებია რუბრიკა - 8 კლასი. ბიოლოგია;

- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - 6 კლასი. ბუნება;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა- 10 კლასი
- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- განმავითარებელი შეფასება;
- განმსაზღვრელი შეფასება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. იგეგმება ინტეგრირებული გკვეთილები, ურთიერთდასწრება . სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. ინდიკატორთან მიმართებაში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების მიზანმიმართულობასა და თანმიმდევრულობას. კურიკულუმზე დაყრდნობით დაგეგმილი საქმიანობა იძლევა შესაძლებლობას, სასწავლო პროცესი იყოს სტრუქტურირებული, ეროვნულ სტანდარტებსა და სკოლის საჭიროებებზე მორგებული. ამგვარი მიდგომა იძლევა იმას, რომ სწავლება სისტემურად წარმოადგენდეს როგორც საგნობრივ, ისე საკლასო დონეზე შეთანხმებულ პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისას და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმების მოდიფიცირებას, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა მზაობა, ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კათედრას ამისთვის შემუშავებული აქვს განმავითარებელი შეფასების

	რუბრიკები, ასევე სემეტრის ბოლოს ახორციელებს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
უცხოური ენები	სასწავლო წლისა დაგეგმვა ეფუძნება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებსა და თემატიკას. გაწესკოლის კათედრასთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. თუმცა ,არის რიგი ცვლილებები განხორციელებული,რაც არ არის ასახული კურიკულუმში. სასურველია, **საშუალო საფეხურზე**, ხელოვნების საგანში ორივე სემესტრში ასახული იყოს ის პროექტები ,რაც რეალურად განხორციელდა.რილია სწავლის შედეგები, შინაარსი, აქტივობები.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კათედრასთან ინტერვიუთი გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.თუმცა ,არის რიგი ცვლილებები განხორციელებული,რაც არ არის ასახული კურიკულუმში. სასურველია, **საშუალო საფეხურზე** , ხელოვნების საგანში ორივე სემესტრში ასახული იყოს ის პროექტები ,რაც რეალურად განხორციელდა.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, სასწავლო პროცესში დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში

	ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს.
სპორტი	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა უზრუნველყოფს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ადაპტირებულია ცვლილებებთან. ეს გულისხმობს როგორც სასწავლო პროცესში მიმდინარე გამოწვევებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას, ისე სასკოლო საზოგადოების ახალი მოთხოვნების გათვალისწინებას. მოქნილობა აძლევს სკოლას შესაძლებლობას, საჭიროებისამებრ განახორციელოს კურიკულუმში ცვლილებები, გამოიყენოს დამატებითი რესურსები და უზრუნველყოს მოსწავლეთა სასწავლო პროცესის უწყვეტობა და ხარისხი. პედაგოგთა განცხადებით, კათედრის მიერ, აღნიშნული საგნების ფარგლებში, აქტიურად ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, შემოქმედებითი ბუნების დავალებების განხორციელებისა და წარმოდგენა-განხილვის პროცესში, რის შემდეგაც წინასწარ გამზადებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით ხორციელდება მათი შეფასება და საჭიროებების დადგენა. კათედრა აქტიურად ახდენს გაკვეთილებზე

ურთიერთდასწრებების მიხედვით რეკომენდაციების შემუშავებასა და გაზიარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა კათედრის მიერ, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის,შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. დოკუმენტაციით, კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. ინდიკატორთან მიმართებაში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს..
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების ზუსტ და ობიექტურ გამოხატვას, ხაზს უსვამს ინდივიდუალური პროგრესის მონიტორინგს და ხელს უწყობს სწავლის ეფექტიანობის შეფასებას. ასეთი სისტემა ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარების მხარდაჭერას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების გაცნობისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო როცესის მიმდინერეობისას შეფასების სისტემის გამჭირვალობას და სამართლიანობას. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა საშუალებას სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
უცხოური ენები	შეფასების სისტემა აფასებს იმ უნარებსა და ცოდნას, რაც რეალურად ისწავლა მოსწავლემ. შეფასების მიზნები თანხვედრაშია კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლ მიზნებთა. კრიტერიუმები და შედეგები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.

ესთეტიკური აღზრდა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობა, რომ შექმნას ისეთი ეფექტური შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გამოკვეთილი იქნება შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შესრულებული და კონკრეტული კრიტერიუმებით შეფასებული შემაჯამებელი დავალების ნიმუში. ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, დაინტერესების შემთხვევაში კი მასწავლებლების მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება მშობელსაც.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით მასწავლებელი იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგებზე დაფუძნებულ რუბრიკებს, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის. შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს. კათედრას აქვს მზაობა შექმნას შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.

სპორტი	კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ცხადყოფს იმას , რომ კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის მექანიზმი. იგი უზრუნველყოფს შეფასების პროცესების სიზუსტეს, შესაბამისობასა და ეფექტიანობას. იგი საშუალებას იძლევა, შეამოწმონ, რამდენად სრულყოფილად ხორციელდება სასწავლო პროცესი და რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები, კურიკულუმის მოთხოვნებს და ეროვნულ სტანდარტებს. ვერიფიკაციის მექანიზმი ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სანდოობის კონტროლს, რაც უზრუნველყოფს სასკოლო გარემოს განვითარების უწყვეტ პროცესსა და ხარისხიან შედეგებს. კათედრას მოსწავლეთა მიღწევების გასაანალიზებლად შემუშავებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემაჯამებელი დავალების ანალიზის მასალები, რაზე დაყრდნობითაც აფასებს კურიკულუმისა და შეფასების სისტემების ეფექტურობასა და შედეგიანობის ხარისხს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

   სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობას კონტროლის, ანალიზისა და შემდგომი განვითარების მიზნით, აუმჯობესებს შეფასების სანდოობას და გამჭვირვალობას, ასევე ხელს უწყობს სასკოლო პროცესების მართვასა და კურიკულუმის განხორციელების ხარისხის მონიტორინგს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი შეფასება

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის სახელმძღვანელო და ელ. რესურსები, პლაკატები, მულაჟები. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ლაბორატორია. აქვსგარკვეული რაოდენობის ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები. ინდიკატორთან მიმართებაში სკოლა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი რესურსები, რომლებიც წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ფარგლებში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში შესაბამის გრაფებში. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით, რომელიც მოიცავს სასწავლო, მეთოდურ და ტექნიკურ საშუალებებს. მნიშვნელოვანია, რომ რესურსები იყოს მრავალფეროვანი და მიმართული სხვადასხვა სასწავლო სტილებზე, მოსწავლეთა ინტერესებზე და უნარებზე. რესურსების მრავალფეროვნება ხელს უწყობს პროცესის აქტიურობას, ხელს აძლევს მოსწავლეებს უკეთ გაითავისონ მასალა და უზრუნველყოფს ინკლუზიურ, ადაპტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეული მოსწავლე შეუძლია გამოხატოს თავისი უნიკალური შესაძლებლობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
უცხოური ენები	სკოლა უცხოურ ენებში ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. თუმცა კურიკულუმებში ნაკლებად გვხვდება დამხმარე სასწავლო რესურსები(გარდა საბაზო საფეხურისა). რჩევა დაწყებით და საშუალო საფეხურზე : სასურველია სკოლამ გამოიყენოს მეტი დამხმარე სასწავლო რესურსი და ეს ასახოს კურიკულუმში.
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმების ჩარჩოებში ,სასურველია, დაემატოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსი. მაგალითად,

	კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე მითითებულია ძირითადი (გრიფირებული)სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები ლინკების სახით, კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ახალი კურიკულუმის შექმნამდე კათედრამ შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი.. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, თუმცა გასაუბრების დროს მათ ისაუბრეს იმ დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გამომდინარე აქედან სკოლას მიეცა **რჩევა** კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი. წარმოდგენილია აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის ოქმები-დაწყებითი საფეხურის, საბაზო საფეხურის,საშუალო საფეხურის. ინდიკატორთან მიმართებაში სკოლა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, რათა სასკოლო საზოგადოების წევრები დარწმუნდნენ, რომ გამოყენებული მასალა პასუხობს სასწავლო მიზნებს, შესაბამისია ეროვნულ სტანდარტებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის ეფექტიანობას. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს რესურსების სანდოობას, შესაბამისობას და ხარისხს, ამცირებს არასასურველი ინფორმაციისა ან არასათანადო სასწავლო მასალის გამოყენების რისკს და ქმნის ისეთ გარემოს, სადაც სწავლება ხდება სისტემურად, გეგმაზომიერად და შედეგზე ორიენტირებულად. საზოგადოებრივი კათედრის მიერ გაზიარებული დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე რესურსების მობილიზება და მათი გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი. თუმცა დოკუმენტი ეხებოდა მხოლოდინგლისურ ენაში გამოსაყენებელ რესურსებს. ამასთან, არ მოიცავდა კონკრეტულ კრიტერიუმებს და იყო ზოგადი ხასიათის. დოკუმენტის შეუსაბამობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ უცხოური ენების კურიკულუმებში გვხვდება დამხმარე რესურსი (ინგლისური ენა, VI კლასი), რომელიც არ შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს. **სამივე საფეხურზე: სკოლას არ აქვს შემუშავებული სასწავლო რესურსების შერჩევისა და დამტკიცების დოკუმენტი და არ აქვს განსაზღვრული რესურსის გამოყენებამდე მისი გადამოწმების პროცედურა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 02/09/2026 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვას დაიწყებენ პერმანენტულად კათედრის შეხვედრებზე.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის წევრებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ მოხდა სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსისა და თვალსაჩინოების შერჩევა.
სპორტი	კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია.

	მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ლაბორატორია. **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცეში არ არის სველი წერტილი, ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდა (ცდებისთვის) და ასევე სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა.** აქვს მცირე რაოდენობის ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები. **თუმცა, ჯანმრთელობისთვის სახიფათო რექატივებს, დასახელების გარდა ეტიკეტზე არ აქვს შესაბამისი წარწერა, მაგ: „შხამი“ და, ა.შ. ასევე, კარადა, სადაც აღნიშნული რეაქტივები ინახება, არ იკეტება საკეტით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს**

	ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 05/09/2026 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, ასევე მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების საკმარისი რაოდენობა და მათი სწორად განაწილება უზრუნველყოფს ეფექტურ სასწავლო პროცესს, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და თითოეულ მათგანს აძლევს შესაძლებლობას სრულად მიიღოს სასწავლო გამოცდილება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რესურსების მრავალფეროვნებას, რაც ზრდის პროცესის დინამიკურობას, ინკლუზიურობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას. აქვე გასათვალისწინებელია სკოლის ინდივიდუალური სპეციფიკაც, სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რაც სასკოლო საზოგადოებას ბევრ შესაძლებლობას აძლევს, რომ მოსწავლეთა აღნიშნული ხასიატის უზრუნველყოფა უფრო მარტივად შეძლოს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს რომ ტექნიკური რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან და გამოიყენება სწავლის პროცესში,
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მისაღწევად ისინი ნაწილობრივ იყენებენ ,საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მატერიალურ რესურსს,რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

მათემატიკა	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და შესაბამისი მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სპორტის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები. სკოლას აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით, რაც კურიკულუმით აქვს გაწერილი. სკოლაში არის სპორტული დარბაზი, ასევე, გარე სპორტული მოედანი.
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

დაწყებით საფეხურსა და ესთეტიკის კათედრაზე, კერძოდ მუსიკაში სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. 2 უსტატუსო მასწავლებელი დასაქმებულია დაწყებით კლასებში, ასევე, დაწყებითის მასწავლებლები

სამართლებრივი ნორმების დარღვევით ატარებენ ისტ -ის, ესთეტიკური აღზრდის საგნების გაკვეთილებს, არცერთ მათგანს არ აქვს შესაბამისი სტატუსი. დანარჩენ კათედრებზე სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. ეს გულისხმობს, რომ პედაგოგები და ადმინისტრაციული პერსონალი ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, ცოდნასა და გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიანად განხორციელებას. კურიკულუმის მიზნების მიღწევა დამოკიდებულია არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ ადამიანურ რესურსზე, ამიტომ მნიშვნელოვანია პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება, თანამედროვე სასწავლო მეთოდების ცოდნა და ინიციატივაზე ორიენტირებული საქმიანობა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი: 22/09/2026 წელი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ჭურჭლისა და რეაქტივების ფოტოსურათები;
- ელექტრონული ვალიდაციის რესურსის ოქმი ბიოლოგია;
- ელექტრონული რესურსის ვალიდაციის ოქმი;
- ვალიდაციის ოქმი ბუნება 5-6 კლასი.
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგის მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის დანერგვის პროცესებზე დაკვირვებას, გამოწვევების/პრობლემების აღნუსხვას-გაზიარებას კათედრის წევრებსა თუ სხვა საგნის მასწავლებლებს შორის და ერთობლივად ინტერვენციების მოფიქრებას, ინტერვიუსა და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს სისტემური, გამჭვირვალე და დამყარებული წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე. მონიტორინგი საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს მოსწავლეთა პროგრესი, განსაზღვროს საჭიროებები და შემუშავდეს შემდგომი ნაბიჯები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დამყარებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მასწავლებლები წინასწარ შედგენილი განრიგით ესწრებიან კათედრებზე თანამშრომლობით გაკვეთილებზე, სკოლაში დანერგილია ურთიერთდასწრების პრაქტიკა, კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით: პოზიტიური სასწავლო გარემო, განმავითარებელი კომენტარებისა და უკუკავშირების ეფექტიანად გამოყენება, დიფერენცირებული სწავლება,საგანთა შორის ინტეგრირება. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზებს და საშუალებას ქმნის ეფექტიანი ჩარევისა და მხარდაჭერისთვის. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას, სწორად შეირჩეს სასწავლო მეთოდები, რესურსები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების წარმოებით, რის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოდიფიცირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლები კათედრაზე, წლის დასაწყისში ახორციელებენ კურიკულუმის რევიზიას და შექავთ გარკვეული ცვლილებები. მონიტორინგს კათედრის ხელმძღვანელები და დირექტორის მოადგილე ახორციელებენ. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. პროცესი არა მხოლოდ მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვას უზრუნველყოფს, არამედ პედაგოგებსა და მშობლებს აძლევს ინფორმაციას სწავლის ხარისხის, განვითარების შესაძლებლობებისა და საჭირო ჩარევების შესახებ. შედეგად, შეფასება ხდება ინსტრუმენტად, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და სწავლის პროცედურების გაუმჯობესებას, ასევე აძლიერებს საზოგადოების ჩართულობას სასწავლო პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა. მასწავლებელები კურიკულუმის შექმნისა და სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად თანამშროლობენ. საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭრას ახორციელებენ ურთიერთდასწრებებით, რის შემდეგაც ერთობლივად ახდენენ ანალიზს, შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისას ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინება: კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა, პროექტებზე მუშაობა. შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო დავალებების შესრულება. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების სიღრმისეულ, ობიექტურ და კომპლექსურ შეფასებას. მონაცემები მიიღება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური აქტივობებიდან მასალებიდან, დაკვირვება-ანალიზის შედეგებიდან და სხვა საგანმანათლებლო რესურსებიდან. მრავალფეროვანი წყაროები ხელს უწყობს სწავლის პროცესის სრული აღქმას და უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას სასწავლო პროცესის განვითარებისთვის. საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოსწავლეთა შესაფასებლად კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, დიაგნოსტირებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებს, შემაჯამებელი დავალების ანალიზს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა შეფასებისას ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინება:კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობა, პროექტებზე მუშაობა.შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო დავალებების შესრულება. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და განვითარების შეფასებას სხვადასხვა სიტუაციაში: საგაკვეთილო პროცესში, პროექტებში, ჯგუფურ აქტივობებში და არაფორმალურ სწავლებაში. კონტექსტების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს კომპლექსური, ობიექტური და რეალურად ასახავდეს მოსწავლის შესაძლებლობებსა და პროგრესს. საზოგადოებრივი კათედრის მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული საკითხის/თემის და გრძელვადიანი მიზნის მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე. ამრიგად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც მოიცავს დაკვირვებას, ტესტებს, ნაშრომებს, პროექტებს, კლასში ჩართულობას და სხვა საგანმანათლებლო აქტივობებს. მრავალფეროვანი მეთოდები

უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის ყოვლისმომცველ მონიტორინგს, აძლევს საშუალებას ზუსტად და ობიექტურად შეფასდეს ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განვითარებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების მონაცემთა შესაგროვებლად, მასწავლებელების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, გაკვეთლებზე დასწრებები, რომელთა მონაცემების ანალიზის შედეგად, ხორციელდება კურიკულუმების მოდიფიცირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

საგნის მასწავლებლებისაგან ინფორმაციის მოგროვება, მოსწავლის მიერ შესრულებული სხვადასხვა დავალების გაცნობა-ანალიზი. მასწავლებლები საჭიროებების კვლევისთვის იყენებენ ურთიერთდასწრებას, შემაჯამებელ დავალებებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, პროექტებს. კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. მათ იციან თუ როგორ გარდაქმნან ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად: საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოიკვეთა კურიკულუმში შეფასების კრიტერიუმების კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტებთან მისადაგება .შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლის შედეგები იქმნება სხვადასხვა ფაქტორების ერთობლივი ანალიზით: ინდივიდუალური შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, მოტივაცია, საგანმანათლებლო გარემო და საგნობრივი პირობები. სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ინკლუზიურობას და ეხმარება სწავლის პროცესის ინდივიდუალურად მორგებას თითოეულ მოსწავლეზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შექმნილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. ასევე, ხორციელდება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით შეფასების განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ბრძანება მეთოდოლოგიის შექმნის შესახებ;
- გვარას სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- გვარას საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება ისგ შექმნის ბრძანება;
- ოლიმპიადისთვის მზადება;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- შეფასების რუბრიკა ბუნება
- შეფასების რუბრიკა ქიმია
- შეფასების რუბრიკა ბიოლოგია
- შეფასების რუბრიკა ქიმია
- ბიოლოგია-განმსაზღვრელი შეფასება;
- განმავითარებელი შეფასების-რუბრიკა ბიოლოგია;
- განმსაზღვრელი შეფასება ბიოლოგია-ბია რუბრიკა-8 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა-6 კლასი.ბუნება
- შეფასების-რუბრიკა ბუნება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასება 8 კლასი;

- განმსაზღვრელი შეფასება 10 კლასი.
- ქიმია- მე-8 კლასი განმსაზღვრელი;
- შეფასების-რუბრიკა ქიმია;.
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა-5-6 კლასი - ბუნება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა-9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასებია რუბრიკა - 8 კლასი. ბიოლოგია;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - 6 კლასი. ბუნება;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა- 10 კლასი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება შეფასებისა და მონიტორინგის შედეგებს. პაკეტი მოიცავს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და კურიკულუმის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაზღვრავს სკოლასა და პედაგოგებს საჭირო სამოქმედო ნაბიჯებს, საჭირო რესურსებსა და მხარდაჭერის ფორმებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებმა კურიკულუმის შექმნის პროცესში ერთობლივად შეიმუშავეს ხედვა, რაც ეფუძნება საგაკვეთილო პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს კონკრეტული კლასის მიხედვით და ამის შემდეგ მოახდინეს კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის, მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით მოდიფიცირება. რასაც ადასტურებს შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და რესურსების მოდიფიცირება, რომელიც მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებულია. **ამრიგად, ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას, საშუალებას აძლევს სკოლას ადაპტირდეს მიმდინარე საჭიროებებს, დაინერგოს ახალი მიდგომები და გავიმეოროთ საუკეთესო პრაქტიკა. შედეგად, კურიკულუმი ხდება დინამიური, მორგებული რეალურ გამოცდილებასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, რაც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას შემაჯამებელი და შემოქმედებითი ბუნებისა დავალებების, დიაგნოსტირების შედეგების მიხედვით გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

- ბრძანება მეთოდოლოგიის შექმნის შესახებ;
- გვარას სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- გვარას საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება ისგ შექმნის ბრძანება;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- შეფასების რუბრიკა ბუნება
- შეფასების რუბრიკა ქიმია
- შეფასების რუბრიკა ბიოლოგია
- შეფასების რუბრიკა ქიმია
- ბიოლოგია-განმსაზღვრელი შეფასება;
- განმავითარებელი შეფასების-რუბრიკა ბიოლოგია;
- განმსაზღვრელი შეფასება ბიოლოგია-ბია რუბრიკა-8 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა-6 კლასი.ბუნება
- შეფასების-რუბრიკა ბუნება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასება 8 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასება 10 კლასი.
- ქიმია- მე-8 კლასი განმსაზღვრელი;
- შეფასების-რუბრიკა ქიმია;.
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა-5-6 კლასი - ბუნება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა-9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასებია რუბრიკა - 8 კლასი. ბიოლოგია;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - 6 კლასი. ბუნება;

- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა- 10 კლასი;
- მოსწავლეთა ნამუშევრები პროექტ სამედიცინო ბიოლოგიაში;
- კომპლექსური დავალება სამედიცინო ბიოლოგიაში-არა ფსიქოტროპულ ნივთიერებებს;
- ჭურჭლისა და რეაქტივების ფოტოსურათები;
- ელექტრონული ვალიდაციის რესურსის ოქმი ბიოლოგია;
- ელექტრონული რესურსის ვალიდაციის ოქმი;
- ვალიდაციის ოქმი ბუნება 5-6 კლასი.

თარიღი 22 სექტემბერი, 2025 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: